შაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 28 №1251

წელიწადი მეოთხე

შაბათი. 1918 წ. ქრისტეშობისთვის 28 №251

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

ყველა ფრონტზე ღამემ წყნარად ჩაიარა.

საქართველოს პროვინციებიდან მრავალი მოხალისეთა რაზმი ჩამოდის ბრძოლის ველზე გასამგზავრებლად

ბერლინში უწესოებაა.

ქ. დრეზდენში სპარტაკელებსა და სამხედრო დარაჯთა შორის შეტაკება მოხდა.

ჰააზემ განაცხადა: მთავრობა დამფუძნებელ კრებას არ გაჰრეკავს თუ გინდ ბურჟუაზიული პარტია უმრავლესობას შეადგენდეს.

გერმანიის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას საპროტესტო ნოტით მიჰმართა, გერმანიის ტერიტორიაზე პოლონეთის ეროვნულ ყრილობის არჩევნების გამო.

ვილსონი ამ დღეებში ჩავა ლონდონში, სადაც 4 დღე დარჩება.

ბუდაპეშტის მუშათა სხდომაზე ზომიერთა პარტიამ გაიმარჯვა.

## კიტა აბაშიძის

გარდაცვალების წლის თავზე მის სულის მოსახსენებლად კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს დიდუბის ეკლესიაში გადიხდიან წირვა-პანაშვიდს, რასაც აუწყებენ მისი ჭირისუფლები. წირვის დასაწყისი 10 ნახ. ს., პანაშვიდის—12 ნახ. საათზე.

2—1978—1

კვირას, ქრისტეშობისთვის 29-ს, ანჩისხატის ტაძარში გადაიხდება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

## მიხეილ (მიშიკო) კონსტანტინეს ძის ყორღანაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უნუგეშო დედა განსვენებულისა, ელენე იასონის ასული ყორღანაშვილისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი შუადღის 12 საათზე.

1982 1—1

ანნა ილიას ასული პლეხანოვისა, ვალენტინა ილიას ასული რიტჩენკოვისა ქმრებით და შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პირველთ დედა, მეორეთ სიდედრი და დიდედა გარდაიცვალა

ნეკტარინე (ეკატერინე) დიმიტრის ასული

## გურგენიძე (ცქვიტიშვილისა)

პანაშვიდი სად. 6 საათზე რკინის გზის საავადმყო ეკლესიაში მიცვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას დილის 11 საათზე.

(1—1980—1)

## ამიერ-კავკასიის ბანკი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

1) პროვინციის ზოგიერთ აგენტების თხოვნის თანახმად მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა გაგრძელებულია 1918 წლის 31 ქრისტეშობისთვემდე.

2) ორივე გამოცემის აქციები დამზადებულია კიდეც და დარიგდება თბილისში ამიერ-კავკასიის ბანკში და ქუთაისში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში: ა) პირველი გამოცემის აქციების მისაღებად საჭიროა დროებით მოწმობის წარდგენა და ბ) მეორე გამოცემის აქციები, მიეცემათ ძველ აქციონერებს თანახმად ძირითად განაწილებისა (პირველი გამოცემის თითო აქციაზე თითო ახალი).

3) მეორე გამოცემის აქციები, თანახმად დამატებით განაწილებისა, მიეცემათ აქციონერებს 1919 წლის იანვარში იმავე ბანკებში.

4) იმ აქციონერმა, რომელმაც დროებითი მოწმობა დაჰკარგა, განცხადება უნდა შეიტანოს ამიერ-კავკასიის ბანკში დაკარგვის შესახებ, აღნიშნოს დროებით მოწმობის ნომრები და განცხადების დაბეჭდვის ხარჯების დასაფარავად წარადგინოს 25 მანეთი; ასეთ პირებს აქციები მიეცემათ ორი კვირის შემდეგ დღიდან განცხადების დაბეჭდვისა.

6—3

## განცხადება

თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა

## დგება მოხალისეთა რაზმები

სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლიან ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897 და 1898, წლებში დაბადებული ახალგაზრდები.

1. ყველა მოხალისეთ, რომლებიც მსახურებენ სხვა და სხვა დაწესებულებაში—ადგილები შეენახებათ. 2. სამხედრო მოქმედების გათავების შემდეგ თავისუფალნი იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს, გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკირველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან 14 საათამდე და 16 საათ.—18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი გენ.-მაიორი მაღალაშვილი.

19 ქრისტეშობისთვე, ქ. თბილისი. 5—5

29 მარიამობისთვეს (ახ. სტ.)

ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

## უკვალოდ დაიკარგა

1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი დავით არონის ძე ელიგულაშვილი.

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მიწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

ჯილდოს მიღებით

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი მიხაილის ქ. საკუთ. სახლი არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს.

(12—1956—10)

## საქართველოს მეომართა დღე

თბილისის მოქალაქენო! დაეხმარეთ იმათ, ვინც თავისი სისხლით უზრუნველ ჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მშვიდობიან არსებობას! დაამზადეთ ყოველგვარი შემოწირულება. ყველაფერს ულრმესი მადლობით მივიღებთ. ქალაქის ყოველ უბანში შეაგროვებენ ავტომობილებით შემოწირულებას.

საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი.

თავმჯდომარე ნ. გაბაშვილისა. გოლოვინის პრ. № 24.

(3—3)

## სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

შაბათს, 28 ქრისტეშობისთვეს, დირიჟორ სამოსუდის ბენეფისი

## ჰოფმანის ზღაპრები

მონაწილეობენ: საბანეევა, შულგინა, შვამბერგი, მაროზოვა, ზალიპსკი და ნიკოლსკი. დასაწყისი საღ. 7 საათ.

კვირას, 29 ქრისტეშობისთვეს, დილით „ევგენი ონეგინი", საღამოთი ალეშკოს, კონშინის, პოლიაევს, მონაწილეობით „ტოსკა" და ბალეტი (ჯიოკონდას ოპერიდან საათების ცეკვა).

31 ქრისტეშობისთვეს საბანეევას, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით „ტრავიატა".

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

## საქართველო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ხელის მოწერის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . . . . . | 150 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . . . . . | 75 " |
| სამი თვით . . . . . . . . | 40 " |
| ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) . . | 15 " |

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

ფოსტის ადრესი: თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.

ტელეგრაფის ადრესი: თბილისი „საქართველო".

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

— ◆ —

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

(კრებული წერილებისა)

## ომი გრძელდება

პროვოკატორების ხელი მარჯვეთ მუშაობს.

თუ სომხებმა გაბედეს და საქართველოს ომი გამოუცხადეს, უეჭველია იმ იმედით, რომ მოკავშირეების ჩარევას ელოდენ.

ამით უნდოდათ შეექნათ ტერორი საქართველოში, ესარგებლათ ხალხის დაბნევით და დაუსჯელად სისრულეში მოეყვანათ თავიანთი მოღალატური განზრახვა.

მტერი არ მოტყუვდა თავის განზრახვაში, რამდენადმე აასრულა კიდეც რაც უნდოდა.

უცაბედი თავდასხმით და წინდაწინ მომზადებულმა სომხებმა იოლად გადმოლახეს ჩვენი საზღვრები და ამხოცეს სანაპიროების მოდარაჯენი. ომის პირველ პერიოდისთვის ამ ფაქტმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

მაგრამ მტერს საბოლოოდ არ გაუმართლდა იმედი, ქართველმა ხალხმა იგრძნო რა საშინელ საფრთხეს უმზადებდა რესპუბლიკის მომავალს სომხების თავდასხმა და სწრაფად ადგა ფეხზე. არავის ახსოვს ასეთი ეროვნული აღფრთოვანება, როგორც ამ ომის დროს. ყოველ კუთხიდან მოაწყდნენ თბილისს მოხალისეები, მთავრობისგან გაწვეული სამობილიზაციო წლების ახალგაზრდობაც უკლებლივ გამოცხადდა თავის ადგილას და გაეშურა ასპარეზისკენ.

მაგრამ ჯერ კიდევ არ დასრულებულა ომის ორგანიზაცია: არა თუ ისეთ ცუდ პირობებში, როგორც დღეს, როცა მტერი მოტყუებით კარებში შემოვიდა, ნორმალურ დროსაც ძნელია ორგანიზაციის მოწყობა.

მაგრამ თავდაცვის ინსტინქტმა ყველაფერს სძლია. საქმე თანდათან გვარდება, ყოველ დღე თბილისს ემატება ახალი ჯარი, მოხალისეები ყოველ კუთხიდან იკრიბებიან და თან მოაქვთ ამბავი, რომ სხვაც ბევრი კიდევ ჩამოვა თბილისში. ამ ხალხს მოაქვს გამარჯვების იმედი, მხნეობა და თავდადება—ამას ემატება კიდევ ის, რომ ფრონტიდანაც გამარჯვების ამბავი ისმის, ჯარისკაცები და გვარდიელები იბრძვიან თავგამოდებით, მამაცურად და ვაჟკაცობის სასწაულებს იჩენენ.

მტერმა გაიგო ეს ამბავი, მის მოღალატე გულს შიში შეეპარა და კიდევ მოტყუების ნაჩვევ გზას მიჰმართა.

თბილისში, სადაც მთავარი ბუნაგია ჩვენი მტრებისა, ფანტასტიურ ხმებს ავრცელებენ, ხელოვნურად პანიკას ჰქმნიან და ჯარის ნებისყოფას აღიზიანებენ. სარგებლობენ ინგლისელების მისიის სახელით, რომელიც თითქო სომხებს ეხმარება და ომის შეწყვეტას ითხოვს: და ეს ჭორი ქუჩებში დადის, სისინით მოქალაქის გულში შედის და ადუნებს მის ენერგიას, ხალხმა, არ იცის, როგორ დახვდეს ჩამოსულ ჯარს, როდის წავიდეს ფრონტზე.

ამ ვერაგობას შეუძლია კიდევ არიოს საქართველოს საქმე.

ჩვენი ვალია განვაცხადოთ, რომ ჯერ ბრძოლის წარმოება არ შეწყვეტილა, ამის შესახებ მთავრობის ბრძანება არ ყოფილა და სანამ ეს ასეა, მხოლოდ მტრების ჯაშუშები და პროვოკატორები ავრცელებენ ამ ხმას.

მთავრობამ გადაწყვიტა, ომი აწარმოვოს, ეს ხალხის, მთელი ერის სურვილია, და მთავრობა ვერას-დროს ვერ გაბედავს, რომ ამ სურვილს ანგარიში არ გაუწიოს და ომი შესწყვიტოს მანამ, სანამ არ ექნება გარანტიები ეროვნული ღირსების და დამოუკიდებლობის შენახვისა.

მანამდე ყოველი ახალი ჯარისკაცი, რომელიც ემატება ჩვენ ჯარს, საქართველოს თავისუფლებას ამტკიცებს, და ქედს უმაგრებს მთავრობას, რათა ეროვნული პოლიტიკა აწარმოოს და მტერს არ დანებდეს.

თუ ზავზე დაიწყო მოლაპარაკება მაშინაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჯარის სიმრავლეს და სიმტკიცეს. მხოლოთ მოღალატეებს შეუძლიათ ჩააქრონ ხალხის აღფრთოვანება და ომი შეაწყვეტინოს ხალხსა, რათა შელახულია მისი ეროვნული თავმოყვარეობა და მტერი საზღვრებს შიგნით შემოვიდა.

მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რომ შეწყვეტილი იყოს ცრუ ხმები, მეტი სისასტიკით უნდა გაიწმინდოს საქართველო ამ შინაურ მტრებიდან.

ინგლისელი მისია ალბათ მოიგონებს ირლანდიელ კეზმენტის ამბოხებას და არ გამოექომაგება გამყიდველ დაშნაკელებს.

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ქართველ ხალხს ვერავინ დაუშლის გაუსწორდეს თავის მოღალატეებს და ამოკვეთოს მათი შხამიანი გული.

დროებითი ზავი, რომელზედაც იქნებ მართლა იყოს მოლაპარაკება ჩვენ მთავრობასა და ინგლისელებს შორის, კიდევ არ ნიშნავს ომის შეწყვეტას, ომი ჯერ კიდევ გრძელდება და აგრეთვე უნდა გაიზარდოს ერის ნებისყოფა ბრძოლისა და თავდაცვისაკენ მიმართული.

## ომის გაკვეთილები

არარატის რესპუბლიკა საქართველოსთან შედარებით პატარაც არის და ღარიბიც. ჩვენ მეტი ჯარისკაცის გამოყვანა შეგვიძლია, სამხედრო მასალა და სურსათიც მეტი გვაქვს. მისდა მიუხედავად პირველ ჯერობა ამ ორი კვირის განმავლობაში ზოგიერთი უპირატესობა მოიპოვა ბრძოლის ველზე. რასაკვირველია, სომხის ჯარის წარმატება დროებითი ხასიათისაა და ჩვენი მოუმზადებლობით აიხსნება. თუ ომი გაგრძელდება მოულოდნელობის მომენტი მნიშვნელობას დაჰკარგავს და თვითეულ მებრძოლ მხარეს ნამდვილი ძალღონის მიხედვით მიეგება.

მაგრამ სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენ მტერს მოუმზადებელნი შევხვდით, ამტკიცებს, რომ ყველაფერი წესრიგზე არ არის ჩვენს სახელმწიფოში. ჩვენ არ გვინდა ეს ფაქტი მთავრობის საწინააღმდეგოთ გამოვიყენოთ. სომხეთ-საქართველოს ომმა დიდი ეროვნული ნაკლი გამოაშკარავა, რომელიც ყოველ ქართველს გვახასიათებს მინისტრიდან დაწყებული უბრალო ბოსტის დარაჯამდე. ესაა უზრუნველობა, დაუდევრობა, მცონარეობა. ეს სრულიადაც შემთხვევითი და განცალკევებული მოვლენა არ არის, რომ ჩვენი ერევნელი ელჩი იმას კი არ აკეთებდა, რაც მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა, არამედ იმას, რაც მისთვის არავის დაუვალებია: იმის მაგივრად, რომ თავის პოსტზე მდგარიყო, მტრის მზადებისა და მიმოსვლისთვის თვალი ედევნებია და დროგამოშვებით შიკრიკი ეგზავნა თავისი პირდაპირი უფროსისათვის, ქართველი დიპლომატი რუსი ჰუმორისტის გმირივით მხოლოდ იმაში იყო გართული, რომ ყოველი უცნობისა და ნაცნობის საფლავზე გრძელ სიტყვებს ლაპარაკობდა. ყოველ წესიერ სახელმწიფოში ასეთ დიპლომატს აუცილებლად სამართალში მისცემდნენ. საქართველოში ეს შეუძლებელია არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი ერთმანეთის კარგი მეგობრები და მოკეთეები ვართ, არამედ მიტომაც რომ ყველას ერთნაირად დაჩლუნგებული გვაქვს გრძნობა ვალდებულებისა კოლექტივის წინაშე.

არარატის რესპუბლიკაში, როგორც ჩანს, კაპეიკს კაპეიკზე აძებდნენ

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლ.

# გაზ. „საქართველო“-ზე

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლ.

რომ გამვლელი ასკერებისაგან თოფები და ტყვია წამალი ეყიდათ. მშიერმა, ტიტველმა ზინვორებმა გადმოლახეს ბეზობდალის ქედი. ჩვენ ყველაფერი ბევრი გვქონდა, მაგრამ დაუზოგველად ვეპყრობოდით ეროვნულ სიმდიდრეს. და ახლა როცა, საჭიროება მოითხოვს, აღმოჩნდა არაფერი თავის ადგილას არ არის და ბევრი რამე გვაკლია კიდეც.

სპარტანული თვითაღზრდა ესაჭიროება ქართველ ხალხს. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავიმახსოვნოთ ერთი უბრალო ჭეშმარიტება. როცა მეზობლად ორი ერი სცხოვრობს: ერთი ღარიბი, მშიერი, ამტანი, ხოლო მეორე შეძლებული, გამაძღარი, ნებიერი, უკანასკნელს ყოველ წუთში თავდასხმის და დამარცხების საფრთხე მოელის. ცხოვრების ბრძოლაში არ არსებობს დასასვენებელი პაუზები. განსაკუთრებით ქართველი ხალხის დარაჯებს უფლება არ აქვთ თვალი დახუჭონ: მიტომ რომ საქართველო ყოველთვის ალყა შემორტყმულ ციხეს წარმოადგენდა და დღესაც ასეთს ციხეს წარმოადგენს.

მაგრამ ზნეობრივი თვით აღზრდა საკმაო არ არის, საჭიროა თვით ორგანიზაციაც. ჩვენი სახელმწიფოებრივი დაწესებულებები სავსეა უქმი და უმეცარი ადამიანებით, ხაზინა ზედ-მეტი და უსარგებლო ხარჯებითაა დატვირთული. მეფე ერეკლეს მთელს სამეფოში იმდენი დიანბეგები არ ჰყოლია, რამდენიც დღეს ერთ რომელიმე კანცელარიას ჰყავს. დემოკრატიული სახელმწიფო აპარატის მუშაობა უნდა განმარტივდეს და გაიაფდეს. თვითეული უწყება შეუბრალებლად უნდა გაიწმინდოს საეჭვო და დაუდევარ ელემენტებისაგან.

ჩვენთვის ჯერ კიდევ ნაადრევია სადღესასწაულო განცხრომა და ნებივრობა. ქართველი ადამიანი რკინის სარეცელზე უნდა დაჯდეს და ფოლადის ჯაგრით შეიმოსოს როგორც მის მდგომარეობას შეეფერება.

## პრესსა

**„ერთობა“ ინგლისელების ჩარევაზე.**

„ერთობა“ ეხება ინგლისელების ჩარევას საქართველო-სომხეთის ომში. გაზეთი აღნიშნავს, რომ სომხის ავანტიურისტები და მთავრობა ელოდენ ამ ჩარევას და მხოლოდ იმიტომ გაბედეს ომის დაწყება და თავდასხმა საქართველოზე. ქართველი ხალხი არას დროს არ დაივიწყებს ამ მუხანათობას და ღალატს სომხებისას და შეიძლება ეს გრძნობა სიძულვილის გადაიტანოს აგრეთვე მოკავშირეებზე.

გაზეთი სწერს

მათი აშკარა მიდგომა სომხეთის მოღალატურ მოქმედ[illegible]ადმი ჩვენს ერს გულს გაუტეხს [illegible]ზე, დაცვა სამართლიანობისა ამ ორ ერს შორის კი მიიზიდავს ჩვენს სიმპატიას მათკენ.

მაგრამ რაში მდგომარეობს ეს სამართლიანობა? ომის მიზეზების გარკვევა, მის გამომწვევთა დასჯა, საქართველოს საზღვრების ამ დაუდგრომელ თავდამსხმელთაგან დაცვა—აი სამკვდრო სასიცოცხლო ინტერესი საქართველოს დემოკრატიის... და ყოველი შებღალვა ამ ინტერესების იქნება ლახვარი ჩვენი ერის გულში ჩასობილი, რასაც ქართველი დემოკრატია ვერ დაივიწყებს.

დღეს ომის საკითხში გარეშე ძალა უკვე ჩარეულია, ჩარეულია არა ჩვენის მოწვევით, არამედ ჩვენის ნების გარეშე. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ ჩარევის. მაგრამ, რადგან ის მაინც ფაქტათ იქცა, ჩვენ არ შეგვიძლია, როგორც პატარა ერს ანგარიში არ გაუწიოთ მათს ასეთ მოქმედებას: ერთი უფლება კი ჩვენი მაინც უდაოთ უნდა იყოს აღიარებული: ესაა ჩვენი უფლება მოვთხოვოთ ძლიერსაც ის სამართლიანობა, რომელიც განათლებულ კაცობრიობის მორალს და დემოკრატიის სვინდისს შეეფერება... და ამ ელემენტარული უფლებების დარღვევა კი არავის ეპატიება. და ვერც ჩვენი ხელმძღვანელი დაწესებულებები შესძლებენ ასეთი დარღვევის დადასტურებას, რადგან ხალხის ნება და ინტერესი მათთვის უმაღლესი კანონი არის და უმაღლეს კანონათვე უნდა დარჩეს.

ვნახოთ რამდენად შესძლებს მთავრობა ეს გადაწყვეტილება დაიცვას. ზედმეტმა მშვიდობიანობამ სომხების თავდასხმამდე მიგვიყვანა, ზედმეტი მორჩილება სრულ განადგურებას და დამოუკიდებლობის დაკარგვას გვიახლოვებს...

* * *

**„მშაკი“ კონფერენციის შესახებ.**

„მშაკი“ (№№ 265, 266, 267) აუცილებლად სთვლის სომხეთ-საქართველოს ომის მშვიდობიან ლიკვიდაციას და სადავო საკითხების გადასაჭრილად ამიერ-კავკასიის კონფერენციის მოწვევას.

რა საკითხები უნდა განიხილოს და გადაჭრას ამ კონფერენციამ?

„პირველი საკითხი სამ რესპუბლიკის საზღვრების საკითხია“. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს დემოკრატიის ინტერესების გათვალისწინებით და ანგარიშის გაწევით.

მეორე საკითხი ჩვენი რესპუბლიკების ერთმანეთთან უფრო მჭიდრო დაახლოვება ეკონომიური და პოლიტიკური კავშირით. ამ კავშირისათვის აუცილებელია „ერთი სარკინისგზო სისტემა, საერთო გამგეობით და ერთი საფოსტო სისტემა ამგვარივე მართვა-გამგეობით“. აგრეთვე მოსპობა საბაჟოებისა, რომელნიც „სოკოს მსგავსად“ გამრავლდნენ რესპუბლიკათა საზღვრებზე. „კონფერენციამ დაუყოვნებლივ უნდა მოსპოს შინაგანი საბაჟო დაწესებულებანი და შეიმუშაოს თავისუფალი სააღებმიცემო დამოკიდებულებათა საერთო სისტემა. ამნაირად კონფერენციამ საფუძველი უნდა ჩაუყაროს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას და გადავიდეს მის განხორციელებაზე... რომელიც პირველი ნაბიჯი იქნება ფედერაციისა და უფრო მტკიცე ერთობისაკენ“.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია განსაკუთრებით კიდევ ერთი ზომა: „საერთო ფინანსიური სისტემის შექმნა“, რაც ამიერ-კავკასიის კონფერენციის ერთი უმთავრესი საკითხთაგანი უნდა იქნეს. გაზეთი ამტკიცებს რომ ცალკ-ცალკე არცერთ რესპუბლიკას არ შეუძლია მტკიცე ფინანსიური სისტემის შექმნაო. სასაცილოა იმის ფიქრი რომ ამ ფეხის დადგმა მიწა-წყლის და პრიმიტიული მეურნეობის მქონე რესპუბლიკებს შეუძლიანთ ცალ-ცალკე დამოუკიდებელ ფინანსების შექმნა. მაშასადამე, ამიერ-კავკასიის კონფერენცია ვალდებულია ეს საკითხი დადებითად გადასჭრას. საერთო საემისიო ბანკი და საერთო ფულის სისტემა აუცილებელია ამიერ-კავკასიისათვის. ამნაირად ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება კატეგორიულად მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს ამიერ-კავკასიის კონფერენცია“.

## ქრონიკა

**საქართველოში შემოსვლა-გასვლის წეს-რიგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა საქართველოს საზღვრებიდან გასვლისა და შემოსვლის წეს-რიგი. საქართველოს საზღვრებიდან გასვლის ნებართვას იძლევა მხოლოდ გუბერნიის კომისარიატი, ბათომში მიმავალთ შეუძლიანთ მიმართონ აგრეთვე საქართველოს რკინის გზების გენ. გუბერნატორს ყარალაყარალაშვილს. ის პირნი ვისაც აღნიშნული მოწმობები არ აღმოაჩნდებათ, საქართველოს საზღვრებიდან გაშვებულნი არ იქნებიან, რაც შეეხება იმათ, ვინც საქართველოში მიემგზავრებიან სხვა ალაგებიდან იმათ უნდა წარადგინონ მოწმობა იმ ადგილის საქართველოს ელჩისა, საიდანაც ისინი მოემგზავრებიან, ურომლისოდ მათი შემოსვლა ყოვლად შეუძლებელია. ამისთვის ევალებათ საზღვარ მოდარაჯე რაზმების უფროსებს და ადმინისტრატიულ პირთ მიიღონ ენერგიული ზომები ამ წეს-რიგის განსახორციელებლად.

**ნავთი.** ბაქოდან საქართველოში ნავთი პირდაპირ მილის საშუალებით მოდის. ამ მოკლე ხანში ნავთის ქვაბები სრულიად აივსება.

**ქსოვილების წარმოება.** საქონლის გამცვლელ კომიტეტთან დაარსდა „ქსოვილების გამცვლელი კომიტეტი“, რომელმაც მიზნად დაისახა მოიწვიოს მალე ამ საქმის მცოდნეთა ყრილობა, რომელიც იმსჯელებს ქსოვილების წარმოების გაფართოვების შესახებ საქართველოში.

**ერობა.** ზუგდიდის მაზრაში საბოლოვო საერობო ანგარიშის და მიხედვით არჩეულია: ს.-დ. ბლოკიდა 17, ს.-რ.—12 და ე. დ.—1. აქ იმოგზაურა საერობო საქმეთა მთავარი ინსტრუქტორმა ბ. ტ. მარგველაშვილმა. პარტიების წარმომადგენელნი პროტესტს აცხადებდენ ს.-რ. პარტიის მიერ ჩადენილ ძალადობაზე. არჩევნებზე ერ.-დემ. პარტიის ბიულეტენი არ ყოფილა.

დღეს საერობო საქმეთა მთავარი ინსტრუქტორი ბ. ტ. მარგველაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგენს მოხსენებს: „ახლად შემოერთებულ მაზრებში საერობო არჩევნების მოხდენა“.

**სათბობი მასალის განაწილება.** იმ ხმების გასაფანტავად, რომელსაც ამ ბოლო დროს ადგილი აქვს, ვითომც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, უკანონოდ ანაწილებდეს სათბობ მასალას. სამინისტრო აცხადებს, რომ 19 ღვინობისთვიდან დღემდე შემოზიდულია სულ 274 ცისტერნი ნავთი, მაზუთი და სხ. საქართველოს ყოველ დღე კი 64 ცისტერნი სათბობი მასალა ჰჭირდება. ამგვარ პირობებში მისი კანონიერად განაწილება შეუძლებელი იყო. დღეიდან კი პირდაპირი მილით მოდის ნავთი და საშუალება ექნება სამინისტროს მეტი შეიძინოს და განაწილებაც მოაწესრიგოს.

**ავათმყოფობა თბილისში.** ქრისტეშობისთვის 1-დან 24 დე თბილისის ქსენონში სულ 543 სახადით ავადმყოფი მიუყვანიათ. ამავე ხნის განმავლობაში მორჩენილან და ქსენონიდან გამოწერილან 173 კაცი, გარდაიცვალა 48, ქსენონის სხვა განყოფილებაში გადაუყვანიათ 8, მათ შორის 2 ხოლერიანი. 24 ქრ. სავათმოფოში მიუყვანიათ კიდევ 18 სახადიანი, დღე და ღამის განმავლობაში 2 მორჩენილა, 3 მომკვდარა და დარჩენილა 464 ავადმყოფი. მიმდინარე თვეში უმეტესი დღიური ავადმყოფობა შენიშნულია 23 თარიღით, როცა ერთი დღის განმავლობაში 53 სახადიანი მიუყვანიათ საავადმყოფოში. ამ 543 ავადმყოფებს შორის 110 ლტოლვილი ყოფილა სახადით ავად.

**ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში.** მთავარ გამგეობამ უკანასკნელ მორიგ სხდომაზე დაადგინა: 1) გადასდოს სამხედრო ფონდის გასაძლიერებლათ 5,000 მანეთი; 2) მოიდანახეს (სამეგრელოში) სკოლის მასწავლებლად დანიშნა ერ. როდონაია; 3) დაამტკიცა ზუგდიდის განყოფილების გამგეობის დადგენილება ზუგდიდიდან ქართულ სკოლის სოფ. კორცხეში გადატანის შესახებ და ხსენებული სკოლის მასწავლებლად დანიშნა გრ. თოლორაია; 4) დააკმაყოფილა ს. მარტყოფის ბიბლიოთეკის გამგის შუამდგომლობა და ხსენებულ ბიბლიოთეკას აღმოუჩინა სახალხო საკითხავი წიგნებით დახმარება; 5) მოხალისეთა რაზმში ჩაწერილ მოსამსახურე პირებს შეუნახოს ადგილი და ეძლიოს ეხლანდელი ნორმის ჯამაგირის ნახევარი; 6) გაგზავნა ბათომში მასწავლებელი ალ. მგელაძე, რომელსაც დაავალა განაახლოს სწავლა და შეუდგეს მეცადინეობას.

**ინგლის-საფრანგეთის** მისსიის ნაწილი მიემგზავრება ერევანში, მისსიის დანარჩენი ნაწილი ბაქოში ჩავა.

**ახალი გამოცემანი.** რედაქციამ მიიღო: საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის ორგანო „კავკასიის ქალაქი“ № 13—14. ჟურნალი საუკეთესო ქაღალდზეა დაბეჭდილი, ქართულ-რუსულად, შეიცავს 56 გვერდს და ღირს 2 მან.

„საქართველოს ისტორია“ ილია ფერაძისა, შეიცავს 360 გვერდს და უდოთ ღირს 8 მანეთი.

**გრ. ჩარკვიანის** წიგნის გამომცემლობას წრეულს არსებობის 40 წელი შეუსრულდა.

**ძველი ხელნაწერი.** თბილისის ძველ წიგნებით მოვაჭრეებში აღმოჩნდა ხელნაწერი: მოკლე აღწერა ცხოვრება ძველთა ფილოსოფოსთა, თანადართვითა უაღრჩეულესთა ჰაზრთა, დამოკიდებულებათა და ზნეობითა სწავლათა. კატასგეველის ფენელონის მიერ, გამბრიის არქიეპისკოპოსითა“.

### რედაქციისაგან

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის. გაზეთის გზავნა ხელის მომწერლებს ახალი სტილით მოესპობათ.**

## უქმე დღეები

(1919 წლის დღესასწაულების სია).

იანვარი: 1. ახალი წელიწადი; 7 და 8—შობა ქრისტესი; 19—ნათლისღება უფლისა. თებერვალი: 15 მირქმა უფლისა; მარტი: არ არის; აპრილი: 7 ხარება ყ-დ წმინდა ღვთის მშობლისა, 10 და 19—პარასკევი და შაბათი ვნების კვირისა, 21 22 ორშაბათი და სამშაბათი აღდგომის კვირისა; მაისი: 1—მუშათა ინტერნაციონალი, 26 საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, 26 ამაღლება უფლისა; თიბათვე—8 მეორე დღე სული წმინდის მოფენისა; მკათათვე არ არის; მარიამობისთვე: 19 ფერისცვალება უფლისა, 29—მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა. ენკენისთვე: 21—შობა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა, 7—ჯვართ ამაღ. უფლისა; ღვინობისთვე: არ არის; გიორგობისთვე: არ არის; ქრისტეშობისთვე: 4—ტაძრად მიყვანა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა, და ყველა კვირა დღეები.

## პროვინციის ცხოვრება

**ს. ლაჩიჩი** (იმერეთი). სოფელში ფოსტა - ტელეგრაფის განყოფილება გაიხსნა.

**ქ. სურამი.** სურამში ქალაქის გამგეობის დუქანი კარგად მუშაობს და ორ თვეში ქალაქს 30 ათასი მანეთი მისცა.

**ქ. ყვირილა.** ყვირილის საბჭოს სხდომაზე კ. ბუაჩიძის მოხსენების შემდეგ გამოირკვა, რომ ქალაქის კასა საცოდავ მდგომარეობაშია. გამგეობამ ამას წინად დაადგინა: მოიწვიოს ბეითალი და რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს სასაკლაოს საკითხი.

**ქ. ხონი.** მამისონის უღელტეხილზე რკინის გზის გამოსაყვანად ხონში ფული გროვდება.

## ყარაბახის ამბები

ყარაიაგინიდან ბაქოში ეტყობინებენ: ანდრანიკას ჯარს, რომელიც შესდგება 500 კაცისგან ზანგეზურის მაზრაში მაჰმადიანთა 50 სოფელი აუკლია, მათ შორის მოჰყოლია პირდავადანი მუსულმანთა ძვირფასი კერასასახლე, რომელიც თავის ღირსეულობით მილიონ მანეთს აღემატება. აკლებულ სოფლების მცხოვრებნი, ზოგი სპარსეთში გაქცეულა, ზოგი არაქსის ნაპირებზე დაბინავებულა. ქრისტეშ. პირველ რიცხვებში ანდრონიკმა შეტევა ტომსონის დელეგაციის თხოვნით შეაყენა. ქრისტეშ. პირველ რიცხვებშივე სოფ. გოგაში სომხებმა აიკლეს მემამულე ჯევანშირის ოჯახი.

# საქართველო-სომხეთის ომი

### ბრძოლის ველი

**თბილისი.** 27 ქრისტეშობისთვე. საქართველოს რესპუბლიკის მთავარშტაბის ცნობა. ასპარეზზე ღამემ წყნარად ჩაიარა.

—

**პარლამენტის სხდომაზე გვარდიის უფროსმა ვ. ჯუღელმა განაცხადა, რომ შულავერის ერთი მაღლობი ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს.**

—

### გორის რაზმის ჩამოსვლა

ხუთშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს, ღამის 10 საათზე თბილისში გორიდან მოხალისეთა რაზმი ჩამოვიდა. რაზმი დაახლოებით 500 კაცისაგან შესდგება. ზურნითა და ყიჟინით ჩაიარეს რუსთაველის პროსპექტი და სამხედრო სამინისტროსთან მივიდნენ. აქ მათ სიტყვით მიმართა სამხედრო მინისტრმა.

### რაჭა-ლეჩხუმელთა რაზმი

თბილისში მცხოვრებ რაჭველებმა და ლეჩხუმლებმა შეადგინეს რაზმი 3000 კაცამდე, რომელიც დაიცავს წესიერებას და საჭიროების დროს ბრძოლის ველზედაც წავლენ.

რაზმი ხუთშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს, ე. დვალის მეთაურობით, შოთა რუსთველის დროშით (წარწერა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“) და ეროვნულ სიმღერებით მივიდა სასახლესთან, სადაც მათ სიტყვით მიჰმართა პარლამენტის წევრმა ა. პაპავამ.

**მოხალისენი ქიზიყიდან**

გუშინ ქიზიყიდან მოხალისეთა ორი რაზმი ჩამოვიდა.

—

### საგალდებულო დადგენილება

ქ. თბილისის, აგრედვე გორისა და თელავის მაზრების გენერალ-გუბერნატორსა.

თანახმად მე-19 მუხლის მეხუთე განყოფილების წესდებულებისა, შესახებ იმ ადგილებისა სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული ამით ვაცხადებთ.

I

სომხების რესპუბლიკის მოქალაქენი და აგრედვე ბორჩალოს მაზრაში მტრის ჯარებისაგან დაკავებულ ადგილებში მცხოვრებნი ჯარში გასაწვევ ჰასაკისანი (18—25 წ.), რომელნიც კი სცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულნი არიან სამხედრო ტყვეებად.

2

ზემოხსენებულ ჰასაკის პირნი ამ დებულების გამოქვეყნებიდან 24 საათში იკრიბებიან ადგილობრივ კომისარიატში, აქედან იგზავნებიან სათანადო სამხედრო მაზრის უფროსის სამმართველოში გარდასაცემათ სამხედრო უწყებისადმი, თანახმად წესების რომლებიც ინიშნებიან „სამხედრო ტყვეთა დებულებაში“ გამოქვეყნებულ სამხედრო უწყების ბრძანებაში რუსეთის სახელმწიფოსა 1914 წ.—№ 697. შემდეგ შესწორებით სამხედრო უწყებისადმი ბრძანებისა 1916 წ.

3

ის პირნი, რომელნიც არ დაემორჩილებიან ამ დადგენილებებს, მიჩნეული იქნებიან საქართველოს რესპუბლიკისა მტრებად დატუსაღებულ იქნებიან და მათ ავლა დიდებას მეექცევიან თანახმად მიღებულ კანონმდებლობისა საქართველოს პარლამენტისადმი ამა 24 ქრისტეშობისთვის 1918 წ.

4

თბილისის მილიციის უფროსს სამაზრო და სასოფლო კომისარებს ევალებათ იქონიონ ამ დებულების შესრულებაზე ჯეროვანი ყურადღება და ყოველ ამ ვალდებულების დამრღვეველ პირობის ვინაობა დაუყონებლივ მომახსენოს მე.

გენ. გუბერნატ. **ზ. მაღლაყელიძე**

### დეპეშებ საქართველოს პარლ. თავმჯდომარეის

**ფასანაურიდან.** ფასანაურის მცხოვრებნი აღშფოთებულნი უღირსი მტრის თავხედობით, ვიზიარებთ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ფიცსა ვდებთ, რომ სიკვდილამდე მასთან ვიქნებით და ხელს შეუწყობთ, რათა მან შესძლოს მახვილით მოიგერიოს საქართველოს რესპუბლიკის მტრები. კრების თავმჯდომარე **ე. მელიქიძე.**

—

**ქუთაისიდან.** ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოსამსახურეთა საზოგადო კრება 25 ქრისტეშობისთვეს, მოისმინა მოხსენება მომენტის შესახებ. იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, უცხადებს მას სრულ ნდობას, აღუთქვამს მას ყოველმხრივ დახმარებას და სამხედრო საჭიროებისათვის ომის დასრულებამდე ჯამაგირიდან 5 პროც. კრების თავმჯდომარე **ქელიშვილი.**

—

**ქართველ ებრაელებისაგან.** ისტორიის განმავლობაში ჩვენ ქართველი ებრაელები ყოველთვის ჩვენ ქრისტიან ძმებთან ვიყავით, გაჭირვებაშიაც და ლხინშიაც. არც დღეს, როცა მუხანათი მტერი ემუქრება საქართველოს, ქართველ ებრაელებს არ შეუძლიანთ გულცივად იყვნენ.

ჩვენ სრულ ნდობას უცხადებთ საქართველოს მთავრობას, ვაწარმოებთ ომის საჭიროებისათვის შეწირულებას, რომ ჩვენ მთავრობა ომის წარმოების დროს ზურგი გაუმაგროთ.

კრების თავმჯდომარე
**მარდახ ფიჩხაძე.**

—

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთის საბჭო, აღშფოთებულია სომხეთის მუხანათურ, თავდასხმით, მოგესალმებათ თქვენ და იმედოვნებს, რომ ორჯოფი და გაიძვერა მტერი ჩვენი ძვირფასი ჯარისა და გვარდიის მიერ გარეკილი იქნება რესპუბლიკის საზღვრებიდან. ქალაქის საბჭო მთელ თავის ძალ-ღონეს მოახმარს რესპუბლიკის დაცვას.

ქალაქის თავი **კვიტაიშვილი.**

—

**სამტრედია** საქართველოს ინტერნაციონალურ მშვიდობის მოყვარე დემოკრატიის ღირსეულ მთავრობას იძულებითი იარაღის აღებაში მხარს უჭერს სამტრედიის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი. მობილიზაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა. კომიტეტის თავმჯდომარე **ი. კოპალეიშვილი.**

—

**შემოქმედი.** ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საქართველოს მთავრობამ მიჰმართა ყოველგვარ ზომებს რათა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხები მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადაჭრილიყო, სომხეთის ჯარი ქურდულად თავს დაესხა ჩვენს სადარაჯოებს და მრავალი ჯარისკაცი დახოცა და დაამახინჯა ზიზღსა და სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ სომხეთის მთავრობის იმ წევრთა წინააღმდეგ რომელნიც შურსა და მტრობას სთესვენ საუკუნოებით მეგობარ ერთა შორის და განადგურებას უქადიან საქართველოს. ვიწონებთ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ფიცსა ვსდებთ ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ შემოსეულ ავანტიურისტთა ასალაგმავად. შემოქმედის საზოგადოების მასიურ კრების მონდობილობით

**მელიქიშვილი.**

—

ქუთაისი. ქუთაისის ქალაქის საბჭო შეიკრიბა სასწრაფოდ იმ სამწუხარო ამბების გამო, რომელიც მოხდა სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებზე უპასუხისმგებლო პირებიs ავანტიურიზმის წყალობით და მიიღო-რა მხედველობაში, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ ყოველ-გვარი ზომები იხმარა სისხლის ღვრის ასაცილებლათ რამაც სამწუხარო მიზანს ვერ მიაღწია და იძულებული გახადა ჩვენი დემოკრატია იარაღით ხელში დაიცვას თავი კონტრ-რევოლუციისა და აღვირ წახსნილ შოვინისტ-ავანტიურისტებისაგან; აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას და იმედს გამოსთქვამს, რომ მიღებულ იქნება სათანადო ზომები რათა მოწესრიგებულ იქნეს დამღუპველი ომის გამომწვევი მიზეზები. ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გრ. ურატაძე, ქუთაისის ქალაქის თავი **დ. კალანდარიშვილი.**

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

### ინგლისური პრესა 25 ქრის.

**ვილსონი ლონდონში.**

27 ქრისტეშობისთვეს ვილსონი ჩავა ლონდონში, სადაც ის 4 დღეს დარჩება, ვილსონს მეუღლითურთ ბინა მეფესთან ბუკინგამის სასახლეში ექნება.

თებერვალში ჯელიკო ინგლისიდან გაემგზავრება ავსტრალიაში იქაურ ფლოტის მდგომარეობის გამოსარკვევათ.

**მილიუკოვი რუსეთზე.**

რუსეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრმა მილიუკოვმა ინტერვიუს დროს სთქვა, რომ რუსეთში მოხდა ისეთი კატასტროფა, რომლის მზგავსი არ ახსოვს ისტორიას. მოკავშირეთა ჩარევა აუცილებელი იყო. ამ ერთი წლის წინათ მოკავშირეთა მცირედ დახმარებასაც შეეძლო რუსეთის გადარჩენა, ახლა კი ამისათვის დიდძალი ჯარია საჭირო. რუსეთში მცხოვრებთა 99 პროც. მათ შორის ზომიერი სოციალისტებიც, მომხრე იყვნენ მოკავშირეთა ჩარევაზე რუსეთის საქმეში.

**შეიდემანი საბჭოების შესახებ.**

შეიდემანმა თავის სიტყვაში დამფუძნებელ კრების არჩევნების რეზოლუციის შესახებ სთქვა, რომ საბჭოები აუცილებელი ინსტიტუტები იყვნენ, მაგრამ ისინი არ უნდა დარჩენ სამუდამოთ; ხალხის უმრავლესობა უარყოფით შეხვდებოდა მათ დიქტატორობას. ხალხის სრული დაკმაყოფილება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია.

### ფრანგული პრესა 25 ქრის.

**ვილსონის დეპეშა.**

პრეზიდენტ ვილსონმა ვაშინგტონში „თეთრ სასახლეს“ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ვიმედოვნებ, რომ საწუგეშო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის იცოდეს, რომ მისი შვილები აქ ვნახე სულიერათ და ფიზიკურათ ჯანსაღნი, მათ პატივსა სცემს ყველა, ვისთანაც ისინი მხარდამხარ იბრძოდენ.

**ვოლფის სააგენტოს სიცრუე.**

**სტრასბურგი.** ბევრ გერმანულ გაზეთში მოთავსებული ვოლფის სააგენ-

ტოს დეპეშა ამტკიცებს, რომ ელზასში დარჩენილ გერმანელებს საფრანგეთის ადმინისტრაცია ძალიან ცუდათ ეპყრობა. სააგენტო განსაკუთრებით ამტკიცებს, რომ ბევრი ახალგაზრდა გერმანელი მოაშორეს თავის ოჯახებს და ბელგიაში ან ჩრდილოეთ საფრანგეთში გაგზავნეს შრომის ბეგარის მოსახდელათ. არც ერთი ეს ცნობა სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. ის გერმანელნი რომელნიც იძულებული იყვენ რეიმზე გადასულიყვენ, არავითარ შევიწროებას არ ყანიცდიან. არც ერთი გერმანელი არ გაგზავნილა არც ბელგიაში, და არც ჩრდილოეთ საფრანგეთში. დააპატიმრეს მხოლოდ ის პირნი, რომელნიც განსაკუთრებით ავიწროებენ ელზასელებს ომის დროს და მათდამი ზიზღის გამოჩენაში განსაკუთრებით გაითქვეს სახელი.

**ფრანგული პრესა 25 ქრისტ.**

საგანგებო ტრიბუნალის მოსამართლენი, რომელთა მეთაური აარონი იყო როგორც საგანგებო ტრიბუნალის თავმჯდომარე, ის ათასობით აპატიმრებდა ელზასელებს და სამხედრო სამუშაოზე ჰგზავნიდა.

**ბოლშევიკური ცნობები**

**რ უ ს ე თ ი.**

(ც. ა. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი)

**დვინსკი,** 24 ქრისტ. სად. ნოვოსვენციაში ადგილობრივმა კომუნისტებმა რკინის გზის მოსამსახურეების დახმარებით ხელთიგდეს მოწინააღმდეგეთა მატარებელი. ყველა გუბერნიის ქალაქის მაზრის და ოლქის აღმასრულებელ კომიტეტებს და ყველა ადგილობრივ საბჭოთა დეპუტატებს ევალება მიიღოს ენერგიული ზომები შრომის ბეგარის ცხოვრებაში გასატარებლად. თავმჯდომ. სვერდლოვი.

**სურსათის გაზიდვის აღკრძალვა**

**ვილნო.** 25 ქრისტ. ვილნოს საბჭომ აღკრძალა სურსათის გაზიდვა. საბარგო მატარებელზე კანტროლი შემოიდეს, აღმოჩნდა, რომ ჯარებს ვაგონით გაუგზავნია იარაღი პროვინციაში თეთრ გვარდიელებისთვის. რკინის გზის მუშებმა ვაგონი დააკავეს. მუშებსა და გერმანელ ადმინისტრაციის შორის მოხდა შეტაკება. დააპატიმრეს 40 მუშა და საბჭოს გარეკით დაემუქრენ. საბჭომ მოითხოვა დაპატიმრებულთა განთავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო გაფიცვით დაემუქრა. ტყვეები არ გაანთავისუფლეს. გაფიცვები დაიწყო. ქალაქში ლეგიონერები მოვიდენ, პოლონეთის კომიტეტი პროკლამაციებში მოუწოდებს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭომ მუშებისაგან მილიცია შეადგინა- ხალხს იმედი აქვს, რომ მოვლენ წითელ ლაშქრელები, რომელნიც დარბევას ააცდენენ მცხოვრებთ.

**შეტაკება დრეზდენში**

**ბერლინი.** 22 ქრ. დრეზდენში სპარტაკელებსა და სამხედრო დარაჯებს შორის ისევ მოხდა შეტაკება. მთავარ სადგურთან მათ შორის სროლა იყო.

**ჰააზე დამფუძ. კრების შესახებ**

ჰააზემ საუბრის დროს განაცხადა, რომ მთავრობა არ გარეკავს დამფუძნებელ კრებას თუ გინდ ბურჟუაზიული პარტია უმრავლესობას არ შეადგენდეს.

**გერმანიის პროტესტი პოლონეთისადმი.**

**ნაუენი.** 25 ქრისტ. გერმანიის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას საპროტესტო ნოტით მიმართა გერმანიის ტერიტორიაზე პოლონეთის ნაციონალურ ყრილობის არჩევნების გამო. გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ ის არ მისცემს არჩევნების ნებას სანამ სამშვიდობო კონფერენცია არ გადასწყვეტს საზღვრების საკითხს გერმანიასა და პოლონეთს შორის.

**ბუდაპეშტის მუშათა სხდომა**

**გერმანული პრესა.** 25 ქრისტეშობ. ბუდაპეშტის მუშათა სხდომაზე გაიმარჯვა ზომიერმა პარტიამ. 350 ხმით 12 ხმის წინააღმდეგ. უარყოფილ იქნა მიწის რეფორმის ულტრა-რადიკალური პროგრამა. რაც უზრუნველყოფს მომავალში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მუშაობას ბურჟუაზიულ პარტიასთან და ბურჟუასთან.

**ბერლინის მდგომარეობა**

გუშინდელი ამბების შესახებ და პოზიციაზე, რომელიც მთავრობის ჯარმა დაიკავა აჯანყების დროს ოფიციალურად იუწყებიან შემდეგს: ბერლინში გუშინ მომხდარ უწესოების გამო ჯარის ჩარევა გამოიწვეული იყო მხოლოდ იმ სურვილით და მიზნით, რომ დაეცვათ ებერტის მთავრობა და გაეზე აჯანყებულ მეზღვაურთაგან. ჯარი, რომელმაც ჯერ კიდევ ბერლინში შემოსვლამდე განაცხადა ერთგულება ახალ მთავრობისადმი, აჯანყებაში ჩაერია იმიტომ, რომ ხელი შეეშალა ეგოისტურ მიზნებით გამოწვეულ მეზღვაურთა აჯანყებისთვის და რევოლიუციის მონაპოვარი საფრთხეში არ ჩაეგდო. 24 ქრისტეშ. ნაშუადღევს ქუჩებში სიწყნარე იყო, მხოლოდ სახლებში იმართებოდა ბერლინში მყოფ სამხედრო ნაწილების კრებები.

უკანასკნელ ამბების გამო მთელი პრესა მოითხოვს, რომ მთავრობა (გამოტოვებულია). და მიიღოს ზომები, რომ გაძევებულ იქნან ბერლინიდან მეზღვაურნი და შემდეგშიაც აღარ დაირღვეს წესრიგი. თუ კი ხალხს აქვს სიტყვის თავისუფლება და უზრუნველყოფილია მისი უფლება კენჭისყრით გადასჭრას საკუთარი ბედი, იმ შემთხვევაში ყოველი წრეს გადასული მოძრაობა უნდა ჩაითვალოს კონტრრევოლიუციონერთა მთავრობა თავისი ავტორიტეტით უნდა განახორციელოს ხალხის ავტორიტეტი.

**ბერლინის მეზღვაურები.**

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერი“ სასტიკად აკრიტიკებს ამას წინად მომხდარ ამბებს და სწერს: „მეზღვაურებმა თავის წინააღმდეგ აამხედრეს არა თუ მარტო ბერლინის გარნიზონის დიდი ნაწილი, არამედ ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქე“. „ფოსიშე ცეიტუნგი“ ამბობს: „სახალხო რწმუნებულები, რომლებსაც მთელი თავის სიმძიმით თავს დააწვა პასუხისმგებლობა,—მოვალენი არიან, გადასწყვიტონ, ფიქრობენ თუ არა ჩასთვალონ თავისი თავი სრული ძალა-უფლების მატარებლად, თუ სთვლიან თავის თავს ასეთად, მაშინ გერმანიამ უნდა იცოდეს, რომ ანარქიისა და დამღუპველ სამოქალაქო ომის წინააღმდეგ მთავრობა იღებს ენერგიულ ზომებს რომელიც ანარქიას ბოლოს მოუღებს, იმავე კილოთი ლაპარაკობს „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერი“ „გერმანიაში ძალა უფლების მოსურნეებმა უნდა შეიგნონ, რომ ისინი უმაღლეს სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების გამომხატველნი არიან და ხალხს იმის ანგარიში უნდა მისცენ თუ როგორ იცავენ ისინი მათ ხელში ჩაბარებულ საუნჯეს“.

## სომეხთა ისტორიული უმადურობა

III

ჯერ ხომ ერეკლე მეფეს უღალატეს თბილისის მოქალაქე სომხებმა თბილისის აოხრების შემდეგ, მერე გიორგი მეფეს, ამას მშვენივრათ ადასტურებს მეფე ერეკლეს მდივანი სულხან გორჯასპის ძე თუმანისშვილის მიწერ-მოწერა თავის ძმასთან: (მარტი 1496 წ.?) „ჩემო ხელმწიფევ. ქ. ვბ ამ თვეს დაწერილი თქვენი წიგნი მივიღე რომელმაც მრავლის მწუხარებისაგან შეპყრობილი გული მხიარული მიყო: ამისთანა საშინელი ავადმყოფობაები რომ შე (გ) ხვედრია, ჰეშმარიტად ღვთის მოწყალება ყოფილა, თორემ დიდის განსაცდელისათვის მიუცივართ სოფელს. ღმერთმან დაგვიხსნას ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან; ჩემი ამბავი რა მოგახსენო, დიდათ შეგბრალდები რომ მნახოთ, თუმცა თქვენის წიგნით ამბავი არ მაკლია და ჩემს გულს ნუგეშს ვაძლევ მაგრამ მწუხარების ტანჯვა გულს არა შორდება. რაღა ჩემგან ვედრება და მოხსენება გეჭირვებათ, ფარეზით გაუფრთხილდით. ახლა ამას იქით ამისი ფიქრი მაქვს და ვსწუხვარ. აქაური ამბავი ეს არის, შემოკლებით მინდა მოგახსენო: ბატონმა რომ მელიქი (დარჩია ბებუთაშვილი) და მოქალაქენი დაიბარა, (1496 წ. ავგისტოს დამდეგს) თურმე სოლომონ ანდრია დეკანოზისშვილისაგან ანდრია დეკანოზი ნალევარი იყო, ერეკლე მეფის ახალგაზდობაში ტყვეთ მოყვანილი. მიაბარეს ნათლისმცემლის მონასტერში, მონათლეს და შეასწავლეს საეკლესიო კითხვა - გალობა და მღვდლათ-დეკანოზათ აკურთხეს. ამისი შვილი იყო სოლომან მსაჯული (მდივან ბეგი ლეონიძე). სომხები მეტადრე თუმანიანნი გადაეკიდნენ სოლომანს და ბოლოს გააძევეს კიდეც თბილისიდგან იმერეთში. სხვა და სხვა რიგის მანქანებით, მუხანათობით დაბეზღებულნი ყოფილიყვნენ. პირველად მთიულეთს თურმე მოახსენა ბატონს *) (ბატონი გამორჩეული ჰყავთო, ალამაჰმად ხანთან კაცი გაგზავნილი ჰყავთო, წიგნსაც სწერენო და თუ ამ სამს დღეზე შენს საქმეს არ უშველი, საქმე წასულიაო). მასუკან დუქნების საქმეზე მისკარბაშს **) და სოლომონს რომ ჩხუბი მოსვლოდათ, გაჯავრებულს სოლომონს ბატონისშვილის გიორგის მაგიერ მეფესთან მისაწერად ერთი შავი გაეკეთებინა, რომ მრავლის საშინლის დაბეზღებით აევსო მისკარბაშისა და უფრო ბასტაბაშვილის საქმეზედ და უძლიერესი სიტყვები ეს ეწერა: მოქალაქეები და მიშკარბაში ამბობენო ჯერ რუსს უყუროთ და მერე ალამაჰმად ხანს წიგნი მივსწეროთო; ბატონი კახეთში ბრძანდებოდეს და იქ იბატონოსო. ბასტამაშვილი ასე ჯანყურად მელაპარაკა რომ ქვეყანას გაუკვირდაო და თუნდ თქვენი შვილიც არ ვიყო, რადგანაც თქვენი გამოგზავნილი ვარ, ამისთანა ურჩება რად უნდა მჭირდესო; ასე მოუნდომებია სოლომონს, რომ გიორგი ბატონისშვილს ესეები ბატონთან მოაწერინოს. შავი რომ მიერთმეოდა, გიორგი ბატონისშვილს არ ეკაბულებინა, ჩუმათ გარდაეწერინებინა, შავი შეენახა და თავისი წერილი ისევ მიეცა. ამაზედ ბატონისშვილი რომ ვერ აეყოლიებინა, მერე მწერლის შვილი გოდერძი ეშოვნა და ბატონისათვის მოეხსენებინა ეს ამბავი. (—მიშკარბაში იოსებ, ბასტამაშვილი და ნაზარბეგისშვილი გოგია ბატონისშვილთან მოვიდნენო მოახსენეს—დიამც მამაშენი არ გვიყვარს და დაგვეღუპაო, შენ მაინც მოგვიარეო, მამა შენმა თავისი მამა რუსეთს გადაკარგა და იქ მოკვდაო, რომ მაშინ შენზე პატარა იყოვო. მრავალი ავი სიტყვა არის, სულ მოწერა არ იქნება. ეს ასე მოახსენებდა (1796 წ. მარიამობისთვეში) შვიდი-რვა თვის უწინ და გოდერძის დაეფიცებინა ბატონი—ნუ გამცემო. ესეები ბატონმა გამოაცხადა, ხოლო მან აშკარადა თქვა მოქალაქეების დამბეზღებლად და გოდერძის სახელს არ ბრძანებდა და მოხსენებულს სიტყვებს აცხადებდა და მომხსენებელი თქვენ იპოვნეთო, მე ნაფიცი ვარო. როგორც მოხდა ვიპოვნეთ და დავიჭირეთ. მოვიდა და კიდევ როგორც დაებეზღებინა, წერილით მოართო და მოეხსენებინა—მართალი მომიხსენებია, სამართალში პირში დაუდგებიო. შეიყარა ხალხი და მიშკარბაშის და მოქალაქეთ დაბეზღება და მუხანათობა აშკარად წაიკითხეს. შენი მტერი, რაც მწუხარება ჩვენ დაგვიდგა ვინცავინ ამათი მოყვარენი ვიყავით. გაგზავნა ბატონმა ყოვლად სამღვდელონი და დარბაისელნი და მეც მოციქულებში გამრია და ფიცით ჰკითხა თავის შვილს გიორგის—მართლა ამათგან ეს შენ გაგიგონიაო თუ არა,—საშინელი ფიცი შემოუთვალა—ჩემთან არა უთქვამთ რაო და მაშინვე ფიცი ირწმუნა და ბატონი ხათრიამი შეიქნა. გოდერძი წამოდგა და სთქვა ამ საქმეს ასე გავარჩევ ყველანი გამტერდითო, და წაიყვანეს დაჭერილი“...

ამ წერილის შინაარსი სრულიათ ეთანხმება მელიქ დარჩიას წერილებს იმავ მანუჩართან 20, 21 ავგისტოს და 7 ღვინობისთვეს.

1795 წლის დამლევს ერეკლე გაუწყრა და გარეკა მანუჩარ-სულხან მდივნები და მხოლოთ სულხანის შვილი მიოშიღა დაჰყვანდა თან.

ერეკლეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა გიორგი მეფე და ქალაქში წესიერების დასაცველათ ათას ორასი შეიარაღებული ლეკი მოიყვანა თვეში სამთუმნათ თითო კაცი. ეს ფული მელიქ დარჩიას უნდა ეძლივნა თვე და თვე ქალაქის შემოსავლიდან, მაგრამ არა ჰყოფნიდა, სომხები დასტვინვიდნენ და ემდუროდნენ გიორგი მეფესა. მეფემ დარჩიას პირით გამოუცხადა ვაჭარ სომხებსა—„შემონიზნულნი საქართველოსა დაიცვებიან ქართველთა ძალითა, აქვსთ ვალი ეწეოდნენ გულითა ქვეყანასა გაჭირვებისა დროსა, შეუწუხებლივ არა იქმნება რა... გამოუცხადეთ მათ არ იყვნენ უმადლონი ქართველთა. *) მაგრამ გიორგი მეფე აითვალწუნეს სომხებმა და იულონ—ალექსანდრე ბატონისშვილებს მხარს უჭერნენ. ამიტომ შეუდგნენ მეფის ღალატსა, გადაიბირეს ლეკების ბელადი ჯარით დაახლოვებით 1799 წლის მარტის გასულს. ერთ დილას 150 ლეკი მეფის სასახლის წინ ყაყანებდნენ დიდის ხმით და ჯამაგირს ითხოვდნენ. მეფემ დაამშვიდა ლეკნი, შეუდგა სასტიკათ ამ საქმის გამოძიებასა. ლეკების ბელადმა ღალატში გარია კუზიანი მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, მალაქელაშვილი და თუმანისშვილები. ამიტომ მეფე გიორგიმ დაიჭირა მდივანი მანუჩარ და გივი თუმანისშვილები ხელთუბანში, და უბრძანა, ხელფეხ ბორკილით მათი შენახვა, ხოლო სულხან მდივანი თბილისში თავის სახლში იყო საიდუმლო ყარაულ ქვეშ.

აი ამ დროს სულხან მდივანი სწერს მანუჩარს ათიოდე წერილში დაწერილებით თავის მწუხარებასა და ატყობინებს, რაც კი მეფის კარზედ ხდება ამ საქმის შესახებ და თავის შინაარსით ფრიად საინტერესონი არიან. ეს მიწერ-მოწერა იწყება 2 აპრილს 1799 წ., სამშაბათ სალამოზე, მანუჩარის წერილი მოუვიდა სულხანს № ყანწიაშვილის ხელით და მაშინვე პასუხი დაუბრუნა მეორე დილით განთიადისას. წერილებს თავის ბეჭედ-დაკრულს უგზავნის სულხან მდივანი.

№ 1. „მანუჩარ! ქ. ძმაო ბატონო! გუშინ სადამოს ჟამს ყანწიაშვილი მოვიდა და შენი წიგნები მომიტანა. გასინჯე, რამდენი რიგი ცეცხლი აენთებოდა ჩემს გულშია, მოუთმენლად ვიტანჯები უმეტესად გონებითა, რომ ამისთანა რა ვჰქენით, თუ ღვთის გულის-წყრომა არ იყოს, რა ამბავია? როგორც მომეწერა ისე ვიყავ იმ ცდაში, რომ მოეყვანენით და რაც ბატონის ნება იყო აქ აღსრულებულიყო. ამ წიგნების მოსვლაზე კიდევ მოვახსენე მოციქულით მოკლედ ესე რომ ჩემი ძმა დაიბარეთ გიახლოსთ, ერთმანეთს ვნახავთ, ჩვენს შეძლებას დავაყურსებთ და იმის მიხედვით, რაც შეგვიძლიან გემსახურებით; თუ თქვენი გული არ შეგვჯერდეა, მერე იმ შეუძლებელზე გენებებოდეს გვტანჯე, გენების დავგვყიდე, გენების დაგვხოცე. ელაპარაკნათ, წუხელის ბატონს ებრძანა—კარგია დილაზე დავბეჭდავო (დაბარების ოქმს). ეს წიგნი გაუთენებლივ გამოვგზავნე. რასაც წამს ოქმი მომივა ყანწიაშვილს გამოვატან. ოთხშაბათს განთიადზე. **სულხან.**

იმავე დღეს სულხანი სწერს: № 2, (მანუჩარ და გიო, ძმაო ბატონო და შვილო: ამ საათში მოგვივიდა ეს ბატონის წიგნი, სალთხუცესთან (იოანე მუხრანბატონი) და ელიაზარ მდივანთან მოწერილი, შენი და გივის დაბარებისა არის და სხვაც რაცა სწერია—მანდ წაგიკითხვენ და სცნობ. როგორც მეორეს წიგნით მამიწერია, იმ თხოვნით მოხდა. დანიშნული ნივთები და თამასუქებიც დაუბარებია, ეცადე და ევედრე მალე წამოგიყვანონ, ბრძანება აღარ შეიცვალოს; აქ რომ მოხვალთ, ვნახოთ როგორ წარმართებს ჩვენს საქმესა. სხვა რაღა მოგწერო, ამასაც ეცადე ჩვენის საქონლის აწერის სიისა, ორისავ მხრისა ერთი პირი გვიბოძონ. ოთხშაბათს წირვის დროს“ სულხან.

ბოლოში აწერია მანუჩარის ხელით: „ეს წიგნი ოთხშაბათს ღამის მესამედი ღამე იყო რომ მოიტანა (?), მაგრამ მე ხუთშაბათს დილაზე მამცა“. მანუჩარი თავს მართლულობს თავის წერილში და სულხანი შემდეგს წერილსა სწერს მეორე დღესვე:

№ 3. „მანუჩარ. ძმაო ბატონო, რაც წიგნები მომსვლია ყველას პასუხი მომიწერია. რომელიც შენი მოწერილობა იყო ყველა ჰეშმარიტი და სამართლიანი მგონია, მაგრამ, ღვთისა და ბატონის ნებას რა გაეწყობა? მესმის რომ დაბარებულიყო და დღეს მუხრანსაც მეგულებით. ასე სჩანს საქმე ბატონის ნებისა და ბძანების ძალით რომელიც გვესმის რომ შენს მოსვლამდინ არც სრული მიზეზი გვებრძანოს და არც მოხსენებულმა პასუხი მიიღოს. ამის მიხედვით არა მოგვიხსენებია-რა. რომელიც გაგვიგონია დღეს წამოსულნი იქნებით იმ ვადითა და აქ რომ მოხვალთ, ბატონის ნება და ჩვენი მოსახსენებელი მაშინ გაირჩევა. ასე თურმე ბძანებს ბატონი—მანუჩართან საქმე მაქვს, პირდაპირ რომ დამიდგება, მაშინ გამოვაცხადებ წერილსაო. მე ხომ სარწმუნო ვარ რომ ჩვენი საამგვარო წერილი არა ახლდესრა; თუ სხვას თავის წიგნით არა მოუხსენებირა და სხვის წიგნით გაუკითხავათ ხომ არ წაგვახდენს.

აპრილს, დ, ხუთშაბათს წირვის დროს. ერთს კაცთან რომ წიგნი მოგეწერა, ჩვენ იმასთან წინათვე ნასაქმნი ვიყავით“.

წინა წერილს სულხანმა ესეც მიაყოლა პატარა ბარათით: „ეს ჩარუხაშვილი ამიტომ გამოვგზავნე, რომ შეგატყობინეთ ბატონთან ცდა თქვენის ჩამოყვანისა, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიგვიღია, როდესაც მივიღებთ, იმავ საათს გამოვგზავნით და ეს კი იცოდე რომ მუხრან ბატონისავით ჩვენი შეწევნა არას ხორციელს არ შეუძლიან; შეეხვეწე, კიდეც დაჰპირდი. საქმე ხომ მაგის ხელთ არის. შეწევნის გვარიც მაგან იცის, მაგასაც გაუგონებენ, იასაულს ბევრი შეუძლიან. მიშვარბაშის მარფუფა წაიკითხე, დაბეჭდე და მიართვი. აქაურ ცდაზე მაგასთან ცდა უფრო იმოქმედებს, მუხრან ბატონს ასე რიგათ გაუგზავნე არავინ შეიტყოს“.

№ 4. იქ. ამთვის, თ. დაწერილი შენი წიგნი ათს ჩარუხაშვილის ხელით მომივიდა, თქვენი თავის გარდასავალი წვრილად მოგეწერა და ყველა ვსცან. მადლობა ყ-დ ძლიერს ღმერთსა, თუ მისი წმინდა ნება არის, იმას რა გაეწყობა და თუ მტრისაგან არის დაქსული, ღმერთი მეფის გულს მალე კეთილად შესცვლის და ყველა დაირღვევა რაც ჩვენთვის მახეები მტერს მოუდგამს, თვითვე შთაცვივიან. მე ვსასოებ ამას თვალუდების მსაჯულის ღვთისაგან. თქვენ ორისავ ბორკილის შეყრა და ისე შენახვა მოგეწერა. ჯერ ჩვენთვის ბატონს არც სიტყვა უბრძანებია და არც დაჭერილნი ვართ. ამას იქით როგორ მოხდება, მან მხოლმან უწყის. ვართ ჩვენს სადგომს და ვისაც ვებრალებით და ვეწყალეით ამ უბედურობისათვის, ისინი კიდეც მოვლენ ხოლმე ჩვენ სანახავათ და ნუგეშს გვცემენ. ჩემთვის მოგეწერა—ნუ შესწუხდებიო, ამ საზარელის უბედურობის მომსწრეს არა მმართებს შეწუხება? სანატრელი იყო ჩემთვის ან ალა მაჰმად ხანის ომში მომკვდარიყავ, ან ჰირს მოვეკალ წაუწყმენდლად და რომლისაგანაც სასოება მქონდა ჩემის ამ სოფელს ცხოვრებისა ამათგან ეს უბედურობა ჩემის უსჯულობით და ცოდვით ჩემს ოჯახს არ მოსდგომოდა! საწუხრად ეს არ მეყოფა, რომ ჩემის უბედურობით მაგდენი სულნი იტანჯებით? მადლობა მას, რომელიც უმჯობესად განაგებს დაბადებულთა თვისთათვის! მე ასეთი ბედმლაშე გამოველ ჩემს სახლში, რომ კიდევ უარესების ღირსი ვარ! ეს ცოტა მგონია ჩემს სატანჯველად. მე ჯერ ბორკილი არ მიყრია და არავინ რას მაწუხებს, თქვენ უფრო არ გეჭირებათ ნუგეში, შეპყრობილთ და შებორკილთ? შენ ვიცი მოითმენ, გივს არა გაუგონია რა და არა უნახავს რა, მაგას მოათმენინე, თუ ერთათ იყვნეთ. ღვთის მოწყალება ესოდენ არის კაცთა—მარჯვენეს ხელს რომ დაჰკრავს, მარცხენას დააფარებს. მასვე ვევედრნეთ, რომ მეფის განწირცხებული გული ჩვენზედ დაამყუდროს. როდესაც მებძანება რამე წინათვე ფიქრით ხომ არ იქნება, რასაც იმ ჟამზედ ღმერთი მამცემს, იმ პასუხს მოვახსენებ და ნება მისი აღსრულდეს ყოვლსა შინა. მხვებ თუ ღმერთი შეგვაძლებინებს, ჰალბათ ცდას არ დავაკლებთ. აპრილის ი. ქ-კს უპზ“.

**დეკ. პ. კარბელაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

P. S. „საქართ.“ № 250 წერილში „ლორე, ბამბაკი და ხუნანი“ თვალსაჩინო ცნობა გამოგვრჩა შემთხვევით 1 სვეტის ბოლოდან 23 სტრიქონში: „ისტორიით ვიცით, რომ შაჰაბაზ დიდი მოუხდა ქართლსა 1605 წ. და მეფე გიორგი X მიეგება და თავი მოიხარა. წასვლისას შაჰაბაზმა გიორგი მეფე თან გაიყოლა და მეგობრულათ ექცეოდა, თან გზა-გზა ათვალიერებდა. ლორეს ციხე მოეწონა და ერევანში შაჰაბაზმა გამოუცხადა გიორგის—„ლორეს ციხე მე უნდა დამითმოვო.“ მაგრამ რა გაეწყობოდა, გიორგი გამობრუნდა შინისკენ და მწუხარებისაგან მიიცვალა. არის ორი თქმულება, ვითომც შაჰაბაზმა მოაწამლვინა მეორე—ვითომც გიორგიმ თაფლის ჭამის დროს ფუტკარმა უკბინა ენაზე ს. მეჯვრისხევში და მისგან მოკვდაო.“

## ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე სასამართლოში

(გაგრძელება)

**ქრისტეშობისთვის 24.**

**მოწმე ავეტისიანცი.** კლერიკალური მიმართულება ანუ „მშაკის“ მიმართულება ერთი და იგივეა. ისინი საეკლესიო საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი. საერთო ეროვნულ ინტერესებით არიან გატაცებულნი. ისინი ოცნებობენ თავი მოუყარონ მთელს სომხობას, ამერიკისას, ბალკანეთისას, ოსმალეთისას და სხვა ქვეყნებისას· სულ სხვაა დაშნაკცუტუნის პარტია. იგი კავკასიაში სომეხთა შორის ყველაზე ძლიერი პარტიაა. დაშნაკცაკანის მიზანია ამიერ-კავკასიის მოწყობა ფედერატიულად. სომეხთა მომეტებული ნაწილი ოსმალეთშია მობინადრე, ამისთვის დაშნაკცუტუნის პარტია მოითხოვს ოსმალეთის სომხეთისათვის პოლიტიკურ ავტონომიას.

**თავმჯდომარე.** დაშნაკცუტუნის პარტია მიზნად არ ისახავს ამიერ-კავკასიაში სომეხთა ერის თავმოყრას, ფეხის მოკიდებას?

**მოწმე ავეტისიანცი.** არა. ისინი ოსმალეთში მოქმედებენ, მათი უმთავრესი ასპარეზი ოსმალეთია. ეხლა ამიერ-კავკასიაშიაც მოქმედებენ, აქ ესწრაფიან ფედერაციას, ოსმალეთში კი პოლიტიკურ ავტონომიას.

**თავმჯდომარე.** რა აზრისა ხართ რუბენ ჩალხუშიანზე?

**მოწმე ავეტისიანცი.** რუბენ ჩალხუშიანს ხშირად შევხვედრივარ „ჩაშკა ჩაიში“ (უნიონი). დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ჩალხუშიანი დაშნაკცაკანი არ არის. მას „ჩაშკა ჩაიში“ შეხვედრის დროს უსაუბრნია ხოლმე ჩემთან ოსმალეთ-კავკასიის ომის დროს. ეს საჩაიე ჩალხუშიანის დაარსებულია. იქ თავს იყრიდა ხოლმე სომხების წარმომადგენელნი და თათბირობდნენ პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებზე. აქ იყო ბიურო დაშნაკცაკანებისა. საჩაიეში შესვლა კი ყველას შეეძლო. იქ ყოფილა ხოლმე სოც.-დემ. ჯუღელი, მახარაძე და სხვანი.

**ვექ. პ. ქავთარაძე.** თქვენ ყველა დაშნაკცაკანებს იცნობთ, თუ შეიძლება ბევრს არ იცნობდეთ?

**ავეტისიანი.** მე ჩემის მდგომარეობით, როგორც წევრი ამ პარტიის თბილისის მთავარ კომიტეტისა, ამ პარტიის ყველა წევრს ვიცნობ, თუ პირადად არა, სიით მაინც. ყველა შეიძლება არ მახსოვდეს, მაგრამ სიაში ხომ იქნება აღნუსხული. ყველა წევრის პირადი ცნობა, რა თქმა უნდა, არ შემიძლიან.

**ვექ. პ. ქავთარაძე.** თქვენის აზრით, ადამიანი, რომელიც თანაუგრძნობს რომელიმე პარტიას, შეიძლება, რომ რაიმე მონაწილეობას არ ღებულობდეს ამ პარტიის საქმიანობაში?

**ავეტისიანცი.** თუ კაცი რომელიმე პარტიის თანამგრძნობია, შეუძლებლად მიმაჩნია რაიმე მონაწილეობას არ ღებულობდეს მის ცხოვრებაში.

**დამცველი შელინსკი** თხოულობს ეს კითხვა-პასუხი ოქმში იქმნას შეტანილი.

**თავმჯდომარე.** მოწმე მატინოვი.

**მატინოვი.** (წინ წამოდგება), შმაგაილოვს მე არ ვიცნობდი. ჩემი წიგნი „ასაფეთქებელი სამუშაო“ მამაჩემის ხელით გადავეცი. შმაგაილოვი მხოლოდ ერთხელ შემხვდა უნიონში (ჩაშკა ჩაია). არავითარი საუბარი ჩვენ არა გვქონია. ხიდის აფეთქების წინ სამი დღით მთხოვა ეს წიგნი. მე (სამხედრო პირია) პოლიტიკიდან შორსა ვდგევარ... გამომძიებელს ჩვენება მივეცი, შეიძლება ჩალხუშიანი დაშნაკცაკანი იყოს მეთქი, რადგანაც ის მეგობარია მამიჩემისა, მამაჩემი კი დაშნაკცუტუნია.

შეკითხვაზე უპასუხეს: მე მგონია, რომ სომხის ჯარს „დაშნაკცუტუნი“ ჰრაზმავდა... ხსენებული წიგნი მამაჩემის თხოვნით ვთხოვე. მამა გზაში შემხვდა და გამახსენა წიგნის თხოვნა. მეც უბიდან ამოვიღე და გადავეცი, ჩაშკა-ჩაიში დასტოვე და გადასცემენ მეთქი.

**თავმჯდომარე.** მოწმე პოლკოვნიკი გატოვცევი. (გატოვცევი წინ წამოდგება).

**ვექ. პ. ქავთარაძე.** (გატოვცევს) იქნება გაიხსენოთ თქვენი საუბარი ნაფ. ვექ. ანდრეევთან შმაგაილოვის შესახებ?

**პოლკ. გატოვცევი.** ნაფ. ვექ. ანდრეევთან საუბრის დროს მე გაკვირვებით უთხარი: არ მესმის, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ხიდის აფეთქებას შმაგაილოვის დატუსაღებასთან მეთქი? ანდრეევმა მიპასუხა: ამ სამი თვის წინად კავკავში ვიყავ, იქ გამაცნეს ტეხნიკ. შაროშინი. კავკავში შაროშინს ინგლისის მისიასთან ჰქონდა კავშირი... დაახლოვებული იყო პაიკთან.

**ვექ. პ. ქავთარაძე.** თქვენ არ იცოდით ანდრეევი ყაზბეგის სადგურზე რომ დააპატიმრეს?

**პოლკ. გატოვცევი.** არ ვიცოდი. ანდრეევმა მითხრა: შაროშინს თბილისში წერილი გავატანე მთავრობის ცნობილ პირთან (გობეჩიასთან?), სადაც ვწერდი „ჩემი საუკეთესო მეგობარია შაროშინი მეთქი“.

**თავმჯდომარე.** მოწმე ცქვიტიშვილი.

**ცქვიტიშვილი.** საქ. რკინ. გზის სამოქალაქო საჩივრის გამო ციფრებით აკეთებს მოხსენებას თუ 11 დღის განმავლობაში ძეგვის ხიდის აფეთქების შემდეგ, როდესაც მატარებელთა მიმოსვლა შეჩერებული იყო 1—11 ნოემბრამდე საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზას უზარალნია შემოსავლის მხრივ 487,262 მან. 61 კ. მთელი ზარალი კი 499,874 მ. 11 კ. უდრის. ეს ცნობები ოფიციალურად არის შემოწმებულ დადასტურებული.

**თავმჯდომარე.** დაწერილებითი ოფიციალური ცნობები ხვალისთვის წარმოადგინეთ.

**თავმჯდომარე.** მოწმე გოგიტიძე (საქართ. რესპუბ. რკინ. გზის ტეხნიკურ ნაწილის გამგეობის წევრი).

**გოგიტიძე.** აფეთქებისაგან გაფუჭებული ხიდის მასალის ღირებულება სულ მცირე 87 ათასი მანეთისა მაინც იქნება. ეს მხოლოდ ზარალის ნაწილია, გამოკვლეული, მთელი ზარალი კი თანდათან შეკეთების დროს ირკვევა. ეს ცნობები კერძოდ მე მაქვს ჩაწერილი.



*) იხ. ცხ. მეფე გიორგისა, პ. იოსელ. გვ. 242.

**თავმჯდომარე.** ხვალისთვის ოფიციალური ცნობები წარმოუდგინეთ სასამართლოს.

**თავმჯდომარე.** მოწმე ლიხვიტსკი.

**ლიხვიტსკი.** (რკ. გზ. მ. უფრ. თანაშ.) ხიდი თბილისის მხარეს 8 საჟენზე იყო დაზიანებული, ბათომის მხარეზე 20 საჟენზე. მის შესაკეთებლად წავიდა 35 კუბიკური ქვა, 96„ კოჭი სულ 49 ათასი მანეთისა. ამ მასალიდან 20—30 პროც. შეიძლება დაგვიბრუნდეს. საერთოდ მასალა, მუშაობა და სხ.—87 ათასი მანეთი მაინც იქნება.

**ბრალმდებელი.** რა დრო დასჭირდებოდა დროებითი ხიდის გაკეთებას, როგორც თქვენ განგიცხადებიათ?

**ლიხვიტსკი.** დროებითი ხიდის გაკეთებაზე განუსაზღვრელი დრო იყო საჭირო. ხიდის სიგრძე 39 საჟენია, სიმაღლე 4 საჟენი სულ მცირე ორი-სამი თვე მაინც მოუნდებოდა დროებით ხიდს, ლითონის ხიდის აგება კი ეხლანდელს პირობებში ყოვლად შეუძლებელი იყო, მასალის უშოვრობისა გამო.

ნაშუადღევის 3 საათზე კრება შესწყდა.

**ქრისტეშობისთვის 25.**

სხდომა დაიწყო დილის 11 საათსა და 15 წუთზე.

**დამცველი ზელინსკი** კვლავ თხოულობს, რომ საქმე გადაიდოს რადგანაც პოლკოვნიკ შმაგაილოვს იშიარის გამო არ შეუძლიან ჯეროვანის გულისყურით გასცეს პასუხი სასამართლოს.

**ბრალმდებელი ჩხატარაიშვილი.** გუშინაც ვითხოვე და ახლაც ვიმეორებ, მოწვეულ იქმნას ექსპერტები პოლკოვნიკ შმაგაილოვის შესამოწმებლად.

სასამართლომ თათბირის შემდეგ განაჩინა: საქმის გარჩევა გაგრძელდეს, პოლკ. შმაგაილოვის შესამოწმებლად სასწრაფოდ დაიბარონ სამი ექიმი.

ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ბრალმდებელი, ვექილები ორივე მხრისა უსახელებენ იმ საბუთის ქაღალდების წაღებას, რომლებზედაც ისინი დაამყარებენ ბრალდებას თუ გამოსარჩლებას...

**თავმჯდომარე** დამცველთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მათ მიერ დასახელებული მოწმე დოლუხანოვი ვერ უპოვნიათ.

**თავმჯდომარე** მოწმე ტერ-სიმონიანცი!

**ტერსიმონიანცი** (ბრალმდებლის შეკითხვაზე უპასუხებს) რულეტკა რომელიც კუჩარიანცს აღმოაჩნდა ერთი მე გადავეცი. ეს რულეტკა თავში გაფუჭებულია, 2 სანტიმეტრი მოწყვეტილი აქვს და ჩაკერებულია. კარგად ვერ მუშაობს.

რადგანაც იჭვს იწვევს რულეტკის ღირსება, დაიბარეს ექსპერტი მიწის მზომელი რომანოვი, რომელიც დაადასტურა, რომ რულეტკას თავში აკლია სამი სანტიმეტრი, რულეტკა სავსებით არ არის კარგი.

**დამცველი** მოითხოვს რომ კურულინის ხელით მიტანილი წერილი და სხვა ნაწერები სასამართლომ ექსპერტების საშუალებით შეადაროს რუბენ ჩალუხშიანის ხელნაწერს, რომელიც შეიძლება მოატანინოს სასამართლომ სავაჭრო ბანკიდან.

სასამართლომ შეიწყნარა შუამდგომლობა და დაავალა დამცველს, სავაჭრო ბანკიდან ასეთი საბუთები წარმოადგინოს, რაც ამავე სხდომის დროს

**შმაგაილოვის ექსპერტიზა.**

სასამართლოში გამოცხადდნენ შმაგაილოვის შესამოწმებლად ექიმები: ქიქოძე, სპექტორი და ჯაფარიძე.

ბაუმანის ჩვენების წაკითხვის შემდეგ სხდომა დროებით შესწყდა. ექიმები შეუდგნენ გვერდის ოთახში გაყვანილ შმაგაილოვის შემოწმებას.

სხდომის განახლებისას **ექიმი ქიქოძე** ექსპერტიზის დასკვნას გადასცემს სასამართლოს: თუმცა პოლკ. შმაგაილოვი ავად არის, მაგრამ სასამართლოში დარჩენა შეუძლიან.

**თავმჯდომარე** (ქიქოძეს) რა მდგომარეობაშიც იმყოფება ეხლა პოლკ. შმაგაილოვი, სასამართლოს სხდომა რომ დღე-ღამეს გაგრძელდეს, შესძლებს ავადმყოფი?

**ექ. ქიქოძე.** შესძლებს.

**დამცველი ზელინსკი.** თავმჯდომარეს ურდგენს ინგლისის მისიისაგან მიცემულ მოწმობას შმაგაილოვის შესახებ. თხოულობს საქმეში ჩარევას.

**თავმჯდომარე.** ინგლისური ენის კარგი მცოდნე არავინ არის დარბაზში? (ერთი ქალი წარსდგება (გახლავართ).

**თავმჯდომარე.** თქვენი გვარი?

**ქალი.** კანტაკუზიანა.

**თავმჯდომარე.** ქ-ნო კანტაკუზიანო, გთხოვთ მობრძანდეთ.

**ვექ. პ. ქავთარაძე.** აქ ბრძანდება ინგლისურის კარგი მცოდნე მაღალაშვილი.

**თავმჯდომარე.** ქ-ნო მაღალაშვილო, გთხოვთ მობრძანდეთ.

წერილს გადასცემენ ორივე ქალს, რომელნიც სთარგმნიან.

დ) ამით ვამოწმებ, რომ რუსის ჯარის აფიცრები, რომელთაც სცადეს ქსანკის და მცხეთის ხიდის აფეთქება აგენტები იყვნენ მოკავშირეებისა და მოქმედებდნენ მოკავშირეთა წარმომადგენლის ინსტრუქციითა და მითითებით. ხელს აწერს **ჯორდანი.**

მოწმობა დაწერილია „ორიანტის" სასტუმროს ბლანკზე, ბეჭედი არ აზის.

**დამცველი ზელინსკი** თარგმნილ მოწმობის წაკითხვის შემდეგ თხოულობს, რომ იგი საქმეში ჩაურთონ, ხოლო პირად დასამოწმებლად დაიბარონ მოწმობის ხელის მომწერი გ. ბ. ჯორდანი და კაპ. ხელსი, მოკავშირეთა წარმომადგენლნი.

**ბრალმდ. ჩხატარაიშვილი.** ამ მოწმობას ბეჭედი არა აქვს, დაწერილია სასტუმრო „ორიანტის" ბლანკზე, ხელს აწერს სრულებით უცნობი პირი, რომლის ოფიციალური საბუთები ხელთ არა გვაქვს რა. არც ამ „საბუთის" ჩაკერებაა საჭირო საქმეში, და მით უმეტეს, არც დასახელებულ პირთა დაბარება.

სასამართლო, თათბირის შემდეგ, ადგენს, მოწმობა საქმეს ჩაერთოს, ხოლო დამცველს დასახელებულ პირთა დაბარებაზე უარი ეთქვას.

**თავმჯდომარე.** მივიღეთ საბუთები, სადაც რუბენ ჩალხუშიანის ხელია მოწერილი. (დამცველები და ბრალმდებელი ჩხატარაიშვილი ათვალიერებენ მას მოსამართლეთა მაგიდასთან).

**თავმჯდომარე.** დარბაზში არავინ არის მასწავლებელი ხატვა-წერვისა? (არ აღმოჩნდა).

ბრალმდებლის მოთხოვნილებით კითხულობენ კუჩარიანცისა და შმაგაილოვის შეპყრობის დროს შედგენილს ოქმს, რის შემდეგაც სხდომა მეორე დღის დილის 10 საათისათვის გადაიდო.

(შემდეგი იქნება)

## კორესპონდენცია

### ერწო-თიანეთი

აქეთ ყველაფრის სიძვირეა. პური 300—350 მან. და ქერი 240 მ. იყიდება. წრეულს თაფლის ხსენება არ არის, ფუტკარი ყველას მოესპო. სოფლის მღვდელი წიკლაური მუდამ 60—70 ფუთს თაფლს ჰყიდდა, წრეულს კი ერთი ფუთიც ვეღარ აიღო.

იარაღს ყველას ართმევენ გარდა „ბერდანის" თოფისა ისიც თუ ნებართვა ექნება.

ტყეები დააკავეს და მცველები დაუყენეს, უგადასახადოთ საწვავ შეშასაც აღარ ანებებენ.

კაცის კვლა ჩირის ფასად გახდა, წარსულ კვირებში სოფ. სვიმონიანთ ხევზე ნახშირის ორმოზე სუხაშვილს და მის მეზობელს მოუვიდათ ჩხუბი, სუხაშვილს მეზობელმა დაჰკრა ცული და წუთი სოფელს გამოასალმა. ამავე დღეებში ტუშურებში ტყეში ორ მეზობელს მოუვიდა ჩხუბი და ცულებით ერთმანეთი სასიკვდილოდ დასჭრეს.

ნადოკვრის კოოპერატივის დუქანი გაძარცვეს, წაიღეს 90.000 მ., ქურდი იქაურივე აღმოჩნდა, შეიპყრეს და სატუსაღოში გაგზავნეს.

ბევრს ცხვარ-ძროხა აქვე დარჩათ და შირაქში ვეღარ გარეკა. თანაც დიდი თოვლი მოვიდა და მშიერი საქონელი ბლომად იხოცება. წისქვილები დაჰყინა და ბევრი უსაფქვაოდ დარჩა, თუ თითო თვალი დაატრიალეს, მოსაფქვრები ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ.

აქეთ მობილიზაცია გამოცხადდა, და ხალხში დიდი ჩოჩქოლი დადგა, ამასთანვე ცხენების მობილიზაცია მოაყოლეს, ხალხში დიდი აღფრთოვანებაა. მრავალი მოხალისედ ეწერება, სოფლებში საჯარო ყრილობები იმართება.

**ქართველი—ოსებში ნამყოფი**

## თეატრი და მუსიკა

**ქართული მუსიკალური საზოგადოება** დღეს კონსერვატორიის დარბაზში შესდგება მე 3 კამერული საღამო ვოლ. ლევიცკის და ქართული მუსიკალური სასწავლებლის კვარტეტის მონაწილეობით.

**პოლონური წარმოდგენა.** 30 ქრისტეშობისთვეს სახალხო სახლში გაიმართება პოლონური წარმოდგენა პოლონურ ბალეტის მონაწილეობით.

კაფე „ინტერნაციონალი" კვირას ქ-ნ დაბერშჩიკოვას (პიანინო) ბელსკის (სკრიპკა) და ზახაროვის (ვიოლონჩელი) ტრის ბენეფისი.

**ვ. ბარნოვის** ისტორიული მოთხრობა „ისნის ცისკარში" ს. ნათიძეს დრამად გადუკეთებია. პიესა წარდგენილია განსახილველად დრამატიულ საზოგადოებაში.

## მოწოდება

**საქართველოს რესპუბლიკის წითელ ჯვართან არსებულ ქალთა კომიტეტისა**

ახლა როდესაც მთელი ჩვენი ფიქრი ბრძოლის ველისკენ არის მიმართული, როდესაც მთელი ჩვენი გრძნობა ეკუთვნის რესპუბლიკის მხედრობას, რომელიც თავის სისხლს ღვრის ჩვენი ქვეყნისა და თავისუფლებისათვის, ამისთანა დრო თითქოს არ შევეფერის მოგმართოთ თქვენ სხვა სიტყვებით, გარდა იმისა რომ საჭიროა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა, მხოლოდ სამშობლოს დამცველების წინაშე.

მაგრამ ჩვენ მაინც, ვბედავთ მოგაგონოთ ის ახლო განვლილ ომის მსხვერპლი, რომლის დახმარება მოვალეობაა ყველასი, ვისაც უყვარს სამშობლო და ერი თავისი.

ჯავახელ ლტოლვილთა უმწეო ბავშვები, რომელთა დედმამა და ნათესავები დაიღუპნენ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ოსმალთა შემოსევისას შეიკედლა საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებამ. მზრუნველობა და მოვლა პატრონობა იმათი იკისრა ქალთა კომიტეტმა, რომელიც არსებობს წითელ ჯვართან და ამ ბავშვებისათვის გახსნა თბილისში თავშესაფარი.

ეს ბავშვები შიშველნი, მშიერნი, ტანჯულნი და მოქანცულნი არიან იმ აუტანელ მდგომარეობით, რომელიც მათ ჰხვდათ წილად და რომელიც ამათ განიცადეს.

ეს ბავშვები მოგროვებულია შიშვლები შარა-გზებზე სადაც ისინი მოქანცულნი ეცემოდნენ დახოცილ მახლობელთა და მშობელთა გვერდით. იყო შემთხვევა, რომ პაწია ძუძუმწოვარა ბავშს აგლეჯდნენ მკერდიდან მკვდარ დედას, როცა ბავშვი მის ძუძუს სწოვდა. და ახლა ეს ტანჯული ბავშვები მოიყვანეთ აქ და ვიკისრეთ მათი აღზრდა.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმდენი ძალღონე, რომ დავაკმაყოფილოთ ამ საბრალო ბავშვების ყოველნაირი საჭიროება და როცა დაისვენებენ, გაჯანსაღდებიან და გამოერკვევიან იმ საშინელებისაგან, რაც იმათ გამოსცადეს, აღიზარდნენ ისე, როგორც შეჰფერის საქართველოს მოქალაქეთ.

მრავალი ბავშვი ავათაა, მრავალი პაწაწინაა და საზოგადოების დაუხმარებლად და, ყველაზე უფრო, ქალების დაუხმარებლად, ჩვენ ვერ შევსძლებთ მოვიხადოთ ჩვენი ვალი ტანჯულ ბავშვების წინაშე.

ქალებო—თქვენ დედებო, დებო—თქვენ გყავთ თქვენთვის საყვარელი ბავშვები, იფიქრეთ იმ პაწიების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ყოველივე საყვარელი და გადიტანეს ამდენი უბედურება. მოიგონეთ რო იმათი დედმამა დაიხოცნენ სწორედ იმ დროს, როდესაც ულმობელი მტერი შემოესია ჩვენ ქვეყანას. მოიგონეთ, რომ დახმარება მათი, ვინც მსხვერპლი გახდა იმ უბედურებისა, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს სამშობლოს, მოვალეობაა ყოველი პატიოსანი მოქალაქისა.

ჩვენ უნდა მოვახერხოთ ისე, რომ როცა ეს ბავშვები გაიზრდებიან შეეძლოთ სთქვან: ჩვენ დავკარგეთ დედები, მაგრამ სამშობლომ არ დაგვივიწყა, შეგვიშრო ცრემლები, მოგვიალერსა და სამშობლოს შევსწირავთ ჩვენს სიცოცხლეს.

დედანო, დებო, ეს შეიძლება მხოლოდ თქვენი დახმარებით, და თქვენც დაეხმარეთ პაწია ბავშვებს მძვინვარე მტრის შემოსევის მსხვერპლს.

შემოსწირეთ ნივთები, ფული, ხილი, სურსათი, ტანისამოსი, წიგნები, რვეულები, ფანქრები, სათამაშოები, ძაფი, ნემსი, პირადი შრომა და სხ. და სხ. ყოველი კაპეიკი გამოადგება ბავშვებს, ყოველი ტანთსაცმელი გაათბობს ბავშვს ყოველი ვაშლი, ყოველი სათამაშო გაახარებს ბავშვის პაწია გულს, რომელსაც ახლა დავიწყებული აქვს სიხარული.

შემოწირულება მიიღება:

1) საქართველოს წითელჯვრის საზოგადოების კანცელარიაში, ოლღას ქუჩა, საბებიო ინსტიტუტის შენობაში 2 სათამდე.

2) თვითონ ბავშვთა თავშესაფარში, მამადავითის მოედანი, გამრეკლის სახლი.

3) ნაკადული"-ს რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტისა და მამადავითის ქუჩ. კუთხე, შესასვლელი მამადა. ქუჩიდან № 2, 4 საათამდე.

4) ნატალია მიხეილის ას. მუსხელიშვილთან, ყორღანოვის ქუჩა № 2.


## გ. მ. კოზაკის ფოტოგრაფიაში

გაიხსნა **სტუდია** მხატვრულ სურათების შესასრულებლად

სურათები შესრულებული იქნება, ზეთის (აკვარელის) და სხვა და სხვა სალებავებით. მხატვრულ შესრულების მხრით ფოტოგრაფია სრულ პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღია 9 ს. 5 ს. (ერევნის მოედანი—სოლოლაკი).

(10—85—3)


## განცხადება

### თბილისის მოქალაქეთ!

1919 წლის 1 იანვარს რწმუნების ვადა უთავდებათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთ და ამიტომ თბილისის ქალაქის გამგეობა ატყობინებს თბილისის მოქალაქეთ, რომ 28, 29 და 30 ამა ქრისტეშობისთვეს მოხდება სამ დღიური აღწერა ახალ საარჩევნო სიების შესადგენად.

აღწერის მოსახდენად ქალაქის გამგეობამ დანიშნა რამდენიმე ასეული აღმწერი, რომელთაც მიეცათ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული მოწმობები.

აღწერის გაჭიანურებისა და საარჩევნო სიებში ვისიმე გამოტოვების თავიდან ასაცილებლად ქალაქის გამგეობა სთხოვს თბილისის მოქალაქეთ აღწერის დღეებში (28, 29 და 30 ქრისტეშობისთვეს) სახლში იყვნენ დილის 9 ს. საღ. 9 ს., წინააღმდეგ შემთხვევაში დასტოვონ სახლში დაწერილებით ცნობები როგორც თავისს, აგრეთვე ოჯახის შესახებ. ამ შემთხვევაში სავალდებულოა დასტოვონ საბუთები, რომლის ძალითაც შეტანილ უნდა იქმნენ საარჩევნო სიებში, რომელთათვისაც საჭიროა შემდეგი ცნობები: № კომისარიატისა, ქუჩისა, სახლისა და ბინისა. გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, ეროვნება, ხელობა და იცის თუ არა წერა-კითხვა.

აღმწერთა მუშაობის ასაჩქარებლად და აგრეთვე სრულ სიების სრულ და სწორ შედგენისათვის, ქალაქის გამგეობა სთხოვს მოქალაქეთ—მიაწოდონ აღმწერთ საჭირო ცნობები, რომელთაც-კი დამოკიდებულება აქნებად საარჩევნო სიების შედგენისთან, და თუ საჭიროდ აღმოჩნდება, აჩვენონ ხოლმე საბუთებიც, რომელნიც უნოა ამოწმებდნენ, რომ ესა თუ ის პირი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (პასპორტი მეტრიკული მოწმობა, ან ნამსახურებითი სია—თავისი ან მამისა).

ჩამომავლობით ქართველნი ყოველივე შემთხვევაში ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად, ამიტომ ზემოდ აღნიშნულ საბუთების წარდგენა მათთვის სავალდებულო არ არის, გარდა მეტრიკული მოწმობისა ამ პირთათვის, რომელნიც გარეგანი შეხედულობით 20 წლისაზე უმცროსნი არიან.

თუ რაიმე გაუგებრობამ იჩინა თავი აღმწერთა და მოქალაქეთა შორის, ქალაქის გამგეობა სთხოვს უკანასკნელთ მიმართომ საუბნო ბიუროებს.

საუბნო ბიუროები აღწერის დღეებში ღია იქნება დილის 9 ს. შუადღის 4 ს. ქვემოთ ჩამოთვლილ 13 ადგილზე:

1 უბანი სამოქ. პირველდაწყებითი სკოლა, ოლგას ქ. № 62, ს. მაჩაბლისა
2 „ ვაჟების პირველი გიმნაზია, გოლოვინის პრ.
3 „ მესამე ქალთა გიმნაზია, ლერმონტოვის ქ.
4 „ ქარვასლა მანთაშევისა, სომხის ბაზარი, 62.
5 „ პუშკინის სამოქალაქო სკოლა, ვორონცოვის ქუჩა.
6 „ ნადეჟდის თავშესაფარი.
7 „ ავლაბრის კლუბი (საზამთრო შენობა).
8 „ პირველი საკომერციო სასწავლებელი.
9 „ სამოქ. სკოლა პეტრე დიდის სახელის, ჩერქეზიშვილის ქ. 29.
10 „ სახალხო სახლი ზუბალაშვილისა.
11 „ თეატრი ნაძალადევისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა.
12 „ რკინის გზის სასწავლებელი.
13 „ საბურთალოს კომისარიატი.

**თბილისის ქალაქის გამგეობა**

## თბილისის სამაზრო საერობო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრაში ასარჩევია

## მომრიგებელი მოსამართლენი

შემდეგ სამოსამართლო უბნებში: 1) თბილისის უბანი—ბინა ქ. თბილისი; 2) მანგლისის უბანი—ბინა მანგლისი; 3) ალბულაღის უბანი—ბინა ალბულაღში (ბელი-კლუჩში); 4) ყარაიაში; 5) საგარეჯოს უბანი—ბინა საგარეჯოში და 6) სართიჭალის უბანი—ბინა სართიჭალა ან მარტყოფი. უბნის მომრიგებელ მოსამართლეს მიეცემა ჯამაგირი 650 მან. თვეში, ამის გარდა საკანცელარიო მასალის და ბინის გათბობა-განათებაში 415 მან. თვეში. ვისაც ჰსურს მოსამართლედ აირჩიონ, განცხადება, საბუთები და currimlum vitae უნდა შემოიტანოს ერობის სახელზე: რუსთაველის ქუჩა № 6 (გოლოვინის პროსპექტი) გერმანიის კომენდატურა (ძველი ბინა).

2—88—1 **გამგეობა.**


**გამოვიდა და იყიდება რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო, ჟურნალი „კავკასიის ქალაქი" 13—14 ნომერი.**

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ქართულად**

რედაქციისაგან.
ივ. გომართელი. ერობის მედიცინა ჩვენში.
ს. რ. ჩვენი თვითმართველობანი.
ა. ესსენი. საქართველოს საბუნებისმეტყველო-საისტორიო აღწერა.
ვ. შ—ძე. ქალაქთა და ერობათა საერთო მილიცია. კანონ-პროექტი ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა.
ქრონიკა: 1) ქალაქთა თვითმართველობებში.
2) ერობათა თვითმართველობებში.

**რუსულად:**

დ. გ. შენიშვნები მილიციაზე.
ე. კლეინი. მუნიციპალურ წარმოების შესახებ.
გ. თუმანოვი. თბილისის პოლიტეხნიკუმი და მუნიციპალიტეტები.
ე. არვანიტაკი. აღზრდა შრომის ნიადაგზე.
ნ. გიკი. თბილისის შრომის ბირჟის მუშაობა.
დ. კორენევი. მუნიციპალური მიმოხილვა. კომუნალური მეურნეობა რუსეთის საბჭოებში.

მისამართი: სომხის ბაზარი № 6, ტელეფ. 7—31.

(1—4)


## სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკაზმულობის სამზადისი ნაკლებად მოიპოვება, სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეთ სასყიდელი იმ ტანისამოსში, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვარგა სახმარებლად და შეეფერება არსებულ ფორმას.

**დაწესებულია შემდეგი ფასები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თითო მაზარაში | 75 მან. | — | შაური. |
| ხალათში | 53 „ | — | „ |
| შარვალში | 40 „ | — | „ |
| პერანგში | 15 „ | — | „ |
| პერანგის ამხანაგში | 15 „ | — | „ |
| ერთ წყვილ წინდაში | 4 „ | 10 | „ |
| ერთ წყვილ წაღაში | 120 „ | — | „ |
| ერთ წყვილ ბათინკაში | 105 „ | — | „ |

(3—83—3)

**საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით**

## ქართული ლეგიონი

### მოიწვევს მოხალისეებს

## მამულიშვილნო,

## დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართულ თეატრის ეზოში, სადაც ყოველგვარ პირობებს შეიტყობენ.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი **ლეო კერესელიძე.**


**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**

### ბ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჰრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.

**საწყლებს უფასოთ.**

ე ქ ი მ ი

### ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11.

ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.- 1536—54

ე ქ ი მ ი

### პ. ტარ. ლორთქიფანიძე

**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

გ ა ი ხ ს ნ ა

### თვალის სამკურნალო

(მუდმივი საწოლებით)

### ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ე ქ ი მ ი

### ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

ე ქ ი მ ი

### გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

### ალექსანდრე დავითის ძის

### ჭიჭილიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**დოქტორი მედიცინისა**

**მისე ანტონის ძე**

### ქალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაზაფის შესახვევი № 1.